პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა და ტფ. კომიტეტის და სსრ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის 28—17, საშდივნის—10—58, მთ. კანტორის—8—31

ორშაბათი
26
მარტი
1934 წ.
№ 71 (3927)

დღეს ნომერში

- — საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — ტვირთზიდვის დაგეგმვისა და გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.
- — ცნობები ჩელიუსკინელთა დასახმარებლად მიღებულ ღონისძიებებზე.
- — პროპაგანდისტის კუთხე. - რა არის კაპიტალიზმის საერთო კრიზისი.
- — საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ოზურგეთის რაიონში ხბოების კონტრაქტაციის საქმეში არსებული დამახინჯებათა შესახებ.
- — მარგანეცის გამომუშავების გეგმა 22 მარტს შესრულდა 100,1 პროცენტით.
- — ქვანახშირის ამოღების გეგმა 23 მარტს შესრულდა 118 პროცენტით.
- — დარაზმულად საბჭოთა კავშირის ლონდონის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.
- — იაპონია-ამერიკის ურთიერთობა.
- — იაპონიის საზღვაო სამინისტროს ...ინფ.

ტვირთზიდვის დაგეგმვისა და გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

1 ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კომიტეტი ადასტურებენ, რომ დონეცის გზის მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული დეფექტები ტიპიურია საბჭოთა კავშირის ყველა რკინისგზისათვის. კუთხური ინტერესებისა და ანგარებითი მიზნებით ხდება მეორეხარისხოვანი ტვირთების გეგმის გარეშე გადაზიდვა საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ტვირთზიდვის საზიანოდ. დღემდეც არ არის აღმოფხვრილი ხელმძღვანელობის კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდები, გზების და საექსპლოატაციო რაიონების ხელმძღვანელთა მიერ სადგურების — ტვირთზიდვის ამ უმნიშვნელოვანესი ბერკეტების მდგომარეობის უცოდინარობა. ბევრი კომუნისტი არამც თუ არ იძლევა დისციპლინის ნიმუშებს, არამედ ხშირად თვითონ არიან გახრწნილების და უდისციპლინობის მაგალითის მიმცემი, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში.

2 რკინისგზების ცუდი მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს დაგეგმვის არადამაკმაყოფილებელი სისტემა გზებზე და საექსპლოატაციო რაიონების და სადგურების ცუდი მუშაობა გეგმების შესრულების საქმეში.

ტვირთზიდვის გეგმებს ადგენენ გზათა სახალხო კომისარიატის მთელი რიგი ორგანოები და საუწყებათაშორისო ორგანიზაციები, გზათა სახალხო კომისარიატთან არსებულ ტვირთზიდვის ოპერატიული დაგეგმვის და რეგულირების რაიონული სამმართველოები, მათთან არსებული საუწყებათაშორისო თათბირები, ოლქაღმასკომებთან და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებთან არსებული ადგილობრივი თათბირები ტვირთზიდვის საკითხებზე, ოლქაღმასკომებთან არსებული ტვირთზიდვის კომიტეტები, რომლებიც მოწყვეტილი არიან რკინისგზების ოპერატიულ მუშაობას და რომლებიც გზების უფროსების გვერდის - ავლით ერევიან რაიონების და სადგურების მუშაობაში. ამავე დროს, გზების უფროსები, რომლებიც ვალდებული არიან შეასრულონ ტვირთზიდვის გეგმა, არ ღებულობენ მონაწილეობას მის შედგენაში და გაურბიან პასუხისმგებლობას მისი შინაარსისათვის.

ამის შედეგად ცუდადაა გამოყენებული მოძრავი შემადგენლობა, შემხვედრი ტვირთზიდვა დიდ რაოდენობას აღწევს და შეუწყნარებლად ცუდადაა გამოყენებული ის ვაგონები, რომლებიც მიდიან ცარიელი მიმართულებით. როგორც გზების და რაიონების უფროსები, ისე თვით მგეგმავი ორგანოები თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში ძალიან ხშირად ცვლიან გეგმებს, რაც იწვევს უგეგმობას და უპასუხისმგებლობას ტვირთზიდვის ხაზით რკინისგზების სადგურებსა და რაიონებში და გზათა სახალხო კომისარიატში.

3 მიუხედავად იმისა, რომ სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. 3 და 8 ივლისის დადგენილებათა შემდეგ შემცირდა საექსპლოატაციო რაიონების უფლებები და მოვალეობანი, მათ ჯერ კიდევ შეინარჩუნეს მრავალი ფუნქცია, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მოძრაობისადმი ხელმძღვანელობასთან. საექსპლოატაციო რაიონები მათი ახლანდელი სახით სინამდვილეში გადაიქცნენ ისეთ ფაქტორად, რომელიც აძნელებს მოძრაობისადმი სწორ ხელმძღვანელობას გზების და სადგურების უფროსთა მიერ, რის გამო საჭიროა გადაკეთდეს ისინი საექსპლოატაციო დარგის განყოფილებებად.

4 სადგურების უფროსები, რომლებიც ღებულობენ მრავალრიცხოვან ერთიმეორის საწინააღმდეგო გეგმებს, ბრძანებებს და დავალებებს, უგეგმოდ მუშაობენ. სადგურებზე, განსაკუთრებით დიდ — საქონლის და დამხარისხებელ სადგურებზე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ორგანიზაციული არევ-დარევა, მრავალრიცხოვანი ბიუროების შექმნა, ზედმეტი სექტორების და თანამდებობების შექმნა. სადგურების უფროსები თავის სამუშაოს და პასუხისმგებლობას აკისრებენ მოადგილეებს და თანაშემწეებს. თვითონ კი ფაქტიურად გაურბიან პასუხისმგებლობას, ეწევიან ხელმძღვანელობას „საერთოდ“, გართული არიან სხდომებით და წარმომადგენლობით სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში და უკეთეს შემთხვევაში ასრულებენ მატარებელთა შედგენაში ბიჭის მიმცემთა ფუნქციებს.

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

I

ტვირთზიდვის დაგეგმვის შესახებ

1 გაუქმდეს: ა) გზათა სახალხო კომისარიატის რაიონული სამმართველოები ტვირთზიდვის დაგეგმვის და რეგულირების დარგში; ბ) ტვირთზიდვის დაგეგმვის და რეგულირების სამმართველოებთან არსებული საუწყებათაშორისო თათბირები; გ) სამხარეო და საოლქო აღმასკომებთან და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებთან არსებული ადგილობრივი თათბირები ტვირთზიდვის საკითხებზე; ტვირთზიდვის სამხარეო და საოლქო კომიტეტები.

2 ტვირთზიდვის წლიური, საკვარტალო და თვიური გეგმების შედგენა საბჭოთა კავშირის რკინისგზის მთელ ქსელში დაეკისროს გზათა სახალხო კომისარიატს და ეს გეგმები დასამტკიცებლად წარედგინოს საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

4 დაევალოს რკინისგზების უფროსებს შეადგინონ ტვირთზიდვის გეგმები ექსპლოატაციის დარგის განყოფილებების და სადგურების მიხედვით იმ გეგმასთან შეფარდებით, რომელიც დამტკიცებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ, და პირადად მოაწერონ ხელი განყოფილებებისათვის მისაცემ გეგმებს.

4 დაევალოს ექსპლოატაციის დარგის განყოფილებათა უფროსებს გზების უფროსებისაგან გეგმების მიღებისთანავე მოაწერონ ხელი ამ გეგმებს და გაუგზავნონ ისინი სადგურების უფროსებს, ამასთან ყოველდღიური ხელმძღვანელობის წესით უზრუნველჰყონ მათი ზუსტად შესრულება.

5 მოეწყოს გზათა სახალხო კომისარიატთან და გზების უფროსებთან, როგორც სათათბირო ორგანოები, მუდმივი თათბირები ტვირთზიდვის საკითხებზე: გზათა სახალხო კომისარიატში — სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებისაგან, გზათა უფროსებთან— ადგილობრივი აღმასკომების და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებისაგან.

6 ტვირთზიდვის გეგმა გაიყოს ორ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიეკუთვნოს საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტვირთები, რომლებსაც ცენტრალიზებული წესით გეგმავს გზათა სახალხო კომისარიატი; მეორე კატეგორიას მიეკუთვნოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტვირთები, რომლებსაც გეგმავენ რკინისგზების უფროსები.

7 საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (პირველი კატეგორიის) ტვირთებს მიეკუთვნოს: ქვანახშირი, კოქსი, ნავთი, ტორფი, შეშა (გეგმის შედგენის დროს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალური სიით), მადანი, ფლუსები, ცეცხლგამძლე მასალა, შავი ლითონი, ლითონის ნაწარმი და მანქანები: სასოფლო - სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, ავტომობილები, ქიმიური სასუქები, ხე-ტყე, საამშენებლო მასალა, რომელიც დანიშნულია საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოებისათვის, სპეციალურად დაწესებული სიის მიხედვით, ცემენტი, (გამოტოვებულია), ქაღალდი, ჭვარტლი, პური, შაქარი, სპირტი, მცენარეულის ზეთი, სოდა, მარილი, ხორცი, თევზი და ცოცხალი საქონელი (დასაკლავი და საჯიშე) ცენტრალიზებული მომარაგებისათვის, მოცულობითი ფურაჟი შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დაწესებული განსაკუთრებული სიის მიხედვით, სელი და ქერელი, სამრეწველო ნედლეული, კარტოფილი და ბოსტნეული (სეზონური დამზადების პერიოდში: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი), ფართო მოხმარების საქონელი, რომლის სია გათვალისწინებულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ, სამხედრო ტვირთი — დამტკიცებული გეგმის ფარგლებში, გზათა სახალხო კომისარიატის შინა - სატრანსპორტო ტვირთზიდვა (რელსები, შპალები, ლითონი, სამაგრები, სათადარიგო ნაწილები, სათბობი, ხე-ტყე). ყველა დანარჩენი ტვირთი (კომბინირებული საკვები, ხილ-ბოსტნეული, კოპტონი, ღვინო, ბადაგი, ადგილობრივი საშენი მასალა, რძის პროდუქტები და სხვ.) მიეკუთვნოს ადგილობრივი მნიშვნელობის (მეორე კატეგორიის) ტვირთზიდვას.

8 დამტკიცდეს 1934 წ. აპრილისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი შემდეგი გეგმა, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის გზებზე იწარმოებს ვაგონების განაწილება პირველი და მეორე კატეგორიის ტვირთის გადასაზიდად:

გზების დასახელება	[illegible]	აქედან		
		1 კატეგ. ტვირთ.	2 კატეგ. ტვირთ.	[illegible]
1. მოსკოვ-ყაზანის	2700	2265	383	52
2. მოსკოვ-კურსკის	2700	გამოტ.	168	30
3. მოსკოვ-ოკრუჟნაიას	400	359	11	30
4. ჩრდილოეთის	3000	2675	295	30
5 რიაზან-ურალის	1100	995	90	15
6. ოქტომბრის	3100	2700	360	40
7. მურმანსკის	1500	1313	172	15
8. მოსკოვ - ბელორუსია-ბალტიის	1700	1464	206	30
9. დასავლეთის	2100	1738	322	40
10. სამხრეთ-აღმოსავლეთის	2700	2418	252	30
11. ჩრდილოეთ კავკასიის	3700	3500	150	40
12. ეკატერინის	6500	6230	255	15
13. დონეცის	8200	7905	270	25
14. სამხრეთის	1200	1098	75	27
15. სამხრეთ-დასავლეთის	2700	2365	301	30
16. ამიერ-კავკასიის	1800	1665	120	15
17. შუა აზიის	1300	1195	75	30
18. თურქესტან-ციმბირის	250	200	40	10
19. სამარა - ზლატოუსტის	1000	835	150	15
20. პერმის	3850	3494	341	15
21. ომსკის	1200	1080	105	15
22. ტომსკის	2975	2850	110	15
23. კუზბასის	25	5	7	3
24. ზაბაიკალის	850	780	60	10
25. უსურიის	1250	1135	110	5
სულ ქსელში ვაგონი	58000	52780	4640	580

9 დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს და გზების უფროსებს შეიტანონ ტვირთზიდვის გეგმაში ტვირთი, რომელიც მიდის ცარიელი მიმართულებით.

10 დაევალოს გზების უფროსებს ტვირთზიდვის გეგმის შედგენის დროს უზრუნველჰყონ ტვირთზიდვის მარშრუტიზაციის მაქსიმალურად გადიდება, არ დაუშვან ტვირთის დაქსაქსვა კლიენტურის მიერ, ხოლო გზათა სახალხო კომისარიატმა დეკადის ვადაში მისცეს ცალცალკე თვითეულ გზას დავალება ტვირთზიდვის მარშრუტიზაციის დარგში.

11 დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს დეკადის ვადაში შეიმუშაოს ახალი დებულება დატვირთვის და გადმოტვირთვის გეგმის არათავისდროზე შესრულებისათვის გზების და კლიენტურის პასუხისმგებლობის შესახებ და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ს. ს. რ კავშირის სახკომსაბჭოს.

12 გაუქმდეს აღრიცხვის არსებული წესი, რომლის დროს დატვირთვა საშუალო სადღეღამისო ნორმის ზევით, თუნდაც საერთო ერთთვიური ან ხუთდღიური გეგმის ფარგლებში, ითვლება გეგმის გარეშე დატვირთვად.

13 გაფრთხილებულ იქნან გზების უფროსები და ექსპლოატაციის დარგის განყოფილებათა უფროსები, რომ ვაგონების დაბრუნების, გადაცემის და სხვა დავალებათა შეუსრულებლობა შეფასებულ იქნება, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით.

14 ამ დადგენილებასთან შეფარდებით გაუქმდეს:

ა) შრომის და თავდაცვის საბჭოს 1930 წლის 11 აგვისტოს დადგენილება ტვირთზიდვის საკითხზე ადგილობრივ თათბირთა დებულების დამტკიცების შესახებ (ს. ს. რ. კ. 1930 წლის კანონთა კრებული, ნომერი 44, მუხ. 458,459).

ბ) შრომის და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის 23 აგვისტოს დადგენილება ტვირთზიდვის ოპერატიული დაგეგმვის ორგანოების მოწყობის შესახებ (ს. ს. რ. კ. 1931 წლის კანონთა კრებული, ნომერი 57, მუხ. 369).

გ) ტვირთის მიღებისა და გადაზიდვის 1930 წლის 12 იანვრის წესები (სარკინისგზო წესდების მე-50 მუხლის დამატება).

დ) შრომის და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის 25 სექტემბრის დადგენილება ნომერი 1209, რომელიც უფლებას აძლევს გამგზავნს სამი დღით ადრე დეკადის დაწყებამდე მოხსნას გადასაზიდად განცხადებულ გეგმიდან ტვირთი, რამდენიც მას სურს.

ე) ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს 1933 წლის 26 სექტემბრის დადგენილება გზათა სახალხო კომისარიატთან ტვირთზიდვის საკითხებზე ცენტრალური თათბირის დაარსების შესახებ.

II

ექსპლოატაციის დარგის განყოფილებათა ორგანიზაციის შესახებ

1 რეორგანიზებულ იქნას საექსპლოატაციო რაიონების არსებული სამმართველოები ექსპლოატაციის დარგის განყოფილებათა უფროსები განთავისუფლებულ იქნან საინსპექტორო ფუნქციებისაგან სხვა დარგებისადმი და სავსებით შენარჩუნებულ იქნას მათ მიმართ, როგორც მათი ძირითადი სამუშაო, სამოძრაო მუშაობის წარმოება - განყოფილების ფარგლებში და ოპერატიული გამგებლობა მოძრაობის ყველა იმ საშუალებისა (ორთქლმავლები, ვაგონები, საშუალებანი და სხვ.), რომელსაც აწვდიან სხვა დარგები ტვირთზიდვისათვის.

2 დაწესდეს, რომ ექსპლოატაციის დარგის განყოფილების უფროსს ნიშნავს გზის უფროსი ექსპლოატაციის დარგის უფროსის წარდგენით და ამტკიცებს გზათა სახალხო კომისარი; ამასთან სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული ის წესი, რომ ექსპლოატაციის დარგის განყოფილების უფროსებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ მუშაკები, რომელთაც აქვთ ტექნიკური ცოდნა გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული მოცულობით, იმისდამიუხედავად, არიან თუ არა ისინი საკ. კომპარტიის (ბ) წევრები.

3 დაევალოს ექსპლოატაციის დარგის განყოფილებათა უფროსებს პირადად შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათ მიერ გზის სამმართველოსაგან მიღებულ ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის განსახორციელებლად და თავისი ხელმოწერით გასცენ ტვირთზიდვის ერთთვიური გეგმები, ხუთდღიური ბრძანებები და დავალებები სადგურებისადმი.

გაუქმდეს საექსპლოატაციო რაიონებში აქამდე არსებული თანამდებობანი მეორე თანაშემწისა კომერციულ დარგში, ინსპექტორებისა ორთქლმავლების, ვაგონების, ლიანდაგის, კავშირგაბმულობის და მუშათა მომარაგების ხაზით. — კომერციული ნაწილი, სამგზავრო ნაწილი, საანგარიშო - სააღრიცხვო და სპეციალური ნაწილები და განთავისუფლებული მუშაკები გადაყვანილ იქნან სამუშაოდ სადგურში, დეპოში, დისტანციაში, სავაგონო უბანზე.

დაწესდეს ექსპლოატაციის დარგის განყოფილების შემდეგი სტრუქტურა: უფროსი და უფროსის თანაშემწე ტვირთზიდვის ხაზით, მოძრაობის რევიზორები, კომერციული რევიზორები, მაცივარტრანსპორტის რევიზორი-ინსპექტორი, სადისპეტჩერო ნაწილი, ტექნიკური ნაწილი, კონდუქტორთა ბრიგადების გამგეები და განყოფილების კანტორა.

III

სადგურის მუშაობის შესახებ

1 სადგურის მუშაობას საფუძვლად დაედოს თვიური გეგმა, რომელსაც სადგური ღებულობს ექსპლოატაციის განყოფილების უფროსის პირადი ხელისმოწერით. დაევალოს ექსპლოატაციის განყოფილებათა უფროსებს თვიურ გეგმასთან შეფარდებით თვითეულ ხუთდღიურში პირადი ხელისმოწერით მისცენ სადგურებს ბრძანება - დავალება მატარებლების დატვირთვა - გადმოტვირთვაზე, მუდმივად მომქმედი გრაფიკების მიხედვით გეგმაშეწონილ დანიშნულებაზე და მომწესრიგებელი დავალებანი ცარიელი ვაგონების გამოირცხვის შესახებ, უფლების მინიჭებით, განსაკუთრებულად საჭირო შემთხვევებში მოახდინონ ხუთდღიური ბრძანება - დავალების სადღეღამისო კორექტივება.

2 დაევალოს ექსპლოატაციის განყოფილებათა უფროსებს მისცენ სადგურს თვიური გეგმა არა უგვიანეს სამი დღისა თვის დაწყებამდე, ხუთდღიური ბრძანება - დავალება — არა უგვიანეს ორი დღისა ხუთდღიურის დაწყებამდე, მოახდინონ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიცემული სადღეღამისო კორექტირებანი არა უგვიანეს სამი საათისა დღეღამის დაწყებამდე.

3 დაევალოთ სადგურების უფროსებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან დღემდის არსებული მრავალრიცხოვანი დამახინჯებანი და ბოროტმოქმედებანი სადგურზე ვაგონების აღრიცხვასა და ანგარიშგებაში და მოძრავი შემადგენლობის გამოყენებაში. დაეკისროს სადგურების უფროსებს პერსონალური პასუხისმგებლობა აღრიცხვის სისწორისა, ვაგონების ხელჭონებისა და მათი გამოყენებისათვის.

4 დაწესდეს, რომ სადგურის უფროსის ყველა მითითება სასადგურო მოწყობილობათა და შენობათა რიგიანად და სუფთად შენახვის, სამანევრო ბრიგადების აკურატულად და მკაფიოდ მუშაობის და სემაფორების, ისრების, სასადგურო ლიანდაგების და კავშირგაბმულობის საშუალებათა რიგიანად შენახვის დარგში უყოყმანოდ სავალდებულოა სადგურის ტერიტორიაზე მომუშავე სხვა დარგთა აგენტებისათვის, როგორიც არიან: გზის ოსტატები, შენობათა ზედამხედველები, ტექნიკური მეთვალყურეები, სამანევრო მემანქანეები, კავშირგაბმულობის ოსტატები და სხვ.

მიენიჭოს უფლება სადგურის უფროსებს დაადონ ადმინისტრატიული სასჯელი ზემოთ ჩამოთვლილ აგენტებს მათ მიერ სადგურთა უფროსების მითითებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში და შემდგომ აცნობონ ეს სათანადო დარგების უფროსებს...

5 ოპერატიულად დაუქვემდებარდეს სადგურების უფროსებს სადგურთა ტერიტორიაზე არსებული მსროლელთა რაზმი, სადგურების უფროსთა განკარგულებით რაზმის საგუშაგოს გამოყენების უფლებით.

6 გადაცემულ იქნას სადგურების უფროსთა გამგებლობაში სადგურის მუშაკთა მოსათავსებლად გამოყოფილი ბინები და ყველა სასადგურო და სამსახურებრივი შენობა და დაეკისროს მათ პასუხისმგებლობა ამ შენობების რიგზე შენახვისათვის.

7 აეკრძალოს ყველა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციას დაიბარონ სადგურთა უფროსები თათბირებზე და მოხსენებათა გასაკეთებლად განყოფილების უფროსის ნებადაურთველად, აწარმოონ მათი მუშაობის გამოკვლევა, აგრეთვე მოახდინონ სადგურის სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაცია.

8 წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს ორი დეკადის ვადაში წარუდგინოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად სატვირთო, დამხარისხებელი, საუბნო და შუათანა სადგურების დებულება, სტრუქტურა და შტატები.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობა ვერ გაუმჯობესდა და რკინისგზის ტრანსპორტი არ შეიძლება გამოყვანილ იქნას ფართო გზაზე სახალხო მეურნეობისათვის იმ დაუდევრობის, უყაირათობის და უპასუხისმგებლობის ლიკვიდაციის გარეშე, რომლებიც ჯერ ისევ ავადებს ტრანსპორტს.

დისციპლინის აღდგენა და განმტკიცება ტრანსპორტზე როგორც „დაბლა“, ისე „მაღლა“ წარმოადგენს იმ ძირითად რგოლს, რომლის საშუალებითაც მხოლოდ შეიძლება ფეხზე დავაყენოთ ჩვენი რკინისგზის ტრანსპორტი. მთავარი დანაშაული დაუდევრობისა და ჯეროვანი დისციპლინის უქონლობისათვის ტრანსპორტზე აწვება კომუნისტებს. კომუნისტ-რკინისგზელები უნდა იყვნენ რკინისგზური ბოლშევიკური დისციპლინის ნიმუში ტრანსპორტზე. ნამდვილად კი მრავალი კომუნისტი ნაკლებად დისციპლინირებულია, ვიდრე რკინისგზის ტრანსპორტის უპარტიო მუშაკები, ხოლო ზოგიერთი მათგანი თავის უდისციპლინობაში იქამდეც კი მიდის, რომ ძნელია მათი გარჩევა თვალისამხვევლების, დეზორგანიზატორებისა და მავნებლებისაგან.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტი მოითხოვენ, რომ ყველა პატიოსანი კომუნისტ-რკინისგზელი სათავეში ჩაუდგეს მოძრაობას რკინისგზური დისციპლინის აღდგენისა და განმტკიცებისათვის ტრანსპორტზე, რომ ისინი ყოველდღიურად, ყოველსაათობით იძლეოდნენ თავის მუშაობაში ბოლშევიკური დისციპლინის მაღალ ნიმუშებს.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამასთან ერთად აფრთხილებენ ყველა ფარულ და ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელ თვალისამხვევს და დეზორგანიზატორს კომუნისტებს შორის, რომ პარტიული ბილეთი ვერ იხსნის მათ პარტიის და მთავრობის დამსჯელი ხელისაგან, რომელიც აღარ შეჩერდება იმის წინაშე, რომ გაუსწორდეს მათ, როგორც რკინისგზის ტრანსპორტის დეზორგანიზატორებს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი**

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სტალინი**

1934 წ. 23 მარტი

ოზურგეთის რაიონში ხბოების კონტრაქტაციის საქმეში არსებულ დამახინჯებათა შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 23 მარტის დადგენილება

უძროხო კოლმეურნეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული დირექტივების შესრულების შემოწმებამ, რომელიც პარტიულ - საბჭოთა კონტროლის ჯგუფმა ჩაატარა მთელ რიგ რაიონებში, აღმოაჩინა ხბოების კონტრაქტაციის არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა, მთელი რიგი დამახინჯებების დაშვება ამ საქმეში და თვალის ახვევის შემთხვევები.

მაგალითად: ოზურგეთის რაიონში (რაიკომის მდივანი ამხ. კილაძე, რაიმიწგანის გამგე ამხ. მალაზონია) რაიონულმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ცნობები 1 მარტისათვის 246 ხბოს (გეგმის 30,8 პროც.), კონტრაქტაციისა და შესყიდვის შესახებ, მაშინ, როცა 10—15 მარტისათვის ფაქტიურად დაკონტრაქტებული იყო 185 ხბო. 4 სოფლო საბჭოში კონტრაქტაციას სრულიად არ შესდგომიან; დირექტივის წინააღმდეგ აკონტრაქტებენ 6 თვეზე მეტი ასაკის ხბოებს; კრედიტები ათვისებულია მხოლოდ 40 პროცენტით და მათი გამოყენება ხდება გათანაბრების პრინციპის მიხედვით, და მოუკიდებლივ ცალკე სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა მეურნეობების სიმძლავრისაგან.

1. მიეთითოს ოზურგეთის რაიკომის მდივანს ამხ. კილაძეს, რომ იგი არასაკმაო ყურადღებას აქცევს პარტიის უმნიშვნელოვანეს დირექტივის განხორციელებას. წინადადება მიეცეს ამხ. კილაძეს და ამხ. ფანცულაიას (პოლიტგანყოფილების უფროსი) უზრუნველყონ თავისი უშუალო ხელმძღვანელობით დაშვებული შეცდომების გამოსწორება და წარმატებით შესრულება დირექტივისა ხბოების კონტრაქტაციის შესახებ.

2. გამოეცხადოს საყვედური ოზურგეთის რაიონის რაიმიწგ. გამგეს ამხ. აკაკი მალაზონიას იმისათვის, რომ იგი სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა მუშაობას უძროხო კოლმეურნეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული დირექტივის განსახორციელებლად.

3. თვალის ახვევისათვის, ხბოების კონტრაქტაციის მიმდინარეობის შესახებ გადამეტებული ცნობების წარმოდგენისათვის (3 ხბო 40-ის ნაცვლად) მოიხსნას სამუშაოდან ცხემლისხიდის სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შარაშენიძე და მიცემულ იქნას იგი პასუხისგებაში.

4. გაფრთხილებულ იქნან პატარა შემოქმედის, მაკვანეთის, ძიმითის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები, რომლებიც სრულიად არ შესდგომიან ხბოების კონტრაქტაციას, რომ თუ მათ უახლოეს დროში არ დაამთავრეს ეს მუშაობა, ისინი მკაცრად დაისჯებიან.

5. გაფრთხილებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ბანკის ოზურგეთის განყოფილების თავმჯდომარე, რომ მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ხბოების შესასყიდად გაცემული კრედიტების მიზანშეწონილად ათვისებისათვის.

დადგენილება გამო[illegible] საში.

მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მოხსენების შესწავლა

მჭიდროდ დავუკავშიროთ საწარმოო დავალებათა შესრულებას

„პარტიაში არ იყოს არც ერთი წევრი, რომელიც არ დაეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს“
(კაგანოვიჩი)

ვინ აფერხებს პარტიულ სწავლებას

(ტფილისი, სტალინის სახ. რაიონი)

მე-17 პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეზე. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება ძირითადად დამოკიდებულია პარტიული სწავლების ქსელის ფართოდ გაშლაზე, მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და პოლიტსკოლებსა და წრეებზე პარტიული ორგანიზაციების კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ **„პარტიაში არ იყოს არც ერთი წევრი, რომელიც არ დაეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს“** (კაგანოვიჩი).

მაგრამ ზოგიერთი რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა სწორედ იქაა არადამაკმაყოფილებელი.

მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ აქ ტფილისის პარტორგანიზაციის სტალინის რაიონის ზოგიერთი უჯრედი. რაიონში გახსნილია სხვადასხვა ტიპის 212 პოლიტსკოლა და წრე, რომელშიაც ჩაბმულია 4.912 კაცი. აქედან პარტიის წევრი 2.050, პარტკანდიდატი 679, კომკავშირის წევრი 417, დანარჩენი უპარტიო.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შესძლო საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულება პარტგანათლების ქსელში პარტიის წევრთა და კანდიდატთა 100 პროც. ჩაბმის შესახებ. (პოლიტსკოლებსა და წრეებში ჩაბმულია პარტიის წევრთა და კანდიდატთა მხოლოდ 56 პროც.).

პირველი მარტიდან პარტიული განათლების ქსელის ყველა ერთეული რაიონში სწავლობს ამხ. სტალინის მოხსენებას და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქარხანა-ფაბრიკის, საბჭოთა დაწესებულების და სასწავლებლების პარტიული ორგანიზაცია ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას იჩენს ამ საქმისადმი. ამას ერთვის ისიც, რომ **პარტიული განათლების ქსელი რაიონში არ არის უზრუნველყოფილი პროპაგანდისტთა კადრით,** 212 პროპაგანდისტის ნაცვლად რაიკომს ჰყავს 160. ამის გამოც ხშირია პოლიტსკოლების და წრეების მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

საქმარაგვაჭრობაში 2, 7 და 10 მარტს პარტუჯრედის მდივნის ამხ. **შახნაზაროვის** დაუდევრობით პოლიტსკოლებსა და წრეებში ჩაიშალა მეცადინეობა. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი საზკვების ტფილისის ტრესტში (პარტუჯრედის მდივანი **გრიგორიანი**), სადაც 2 და 10 მარტს მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა მეცადინეობა, პურის ქარხანაში (უჯრედის მდივანი ამხ. კასრაძე), სადაც ჩამოყალიბებულია 4 პოლიტწრე, და სისტემატიურად იშლება მეცადინეობა (ამ წრეებში ჩაბმულია მხოლოდ 7 უპარტიო მუშა), ლითის ქარხანაში (უჯრედის მდივანი **გრიგორიანი**), აგრეთვე საქვაჭრობაში (უჯრედის მდივანი—ციბაძე) და სხვ., პარტორგანიზაციებში. ზოგიერთ ორგანიზაციაში პ.-სკოლება და წრეებში მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება არადამაკმაყოფილებელია. ავტოსახელოსნოში მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრება უდრის 55—60 პროც., წყალკანალტრესტში—50 პროც., რაისაბჭოში პარტსწავლების ქსელში ჩაბმულია 35 კაცი, მეცადინეობას კი ესწრება მხოლოდ 7—9.

რაიონში არის ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, სადაც სანიმუშოდაა დაყენებული პარტიული განათლების ერთეულების მუშაობა, წარმატებით მიმდინარეობს ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა, ასეთ მაგ.: კალინინის სახ. ქარხანაში, სადაც პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობაზე დასწრება უდრის 95 პროც., ტრამვაიში—86 პროც., პირველ სტამბაში—95 პრ., მეორე სტამბაში—92 პროც., ტრამვაის და კალინინის სახ. ქარხნის პარტიული ორგანიზაციებში სანიმუშოდ მიმდინარეობს ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა. ამ მიზნით პროპაგანდისტები მიდიან მუშათა ბინებში, ოჯახის წევრებს აწავლიან ამხ. სტალინის მოხსენებას და ყრილობის მასალებს; გარდა ამისა ტარდება პოლიტდღეები, პოლიტლატარეია, პოლიტბრძოლა და ეწყობა საზოგადოებრივი პოლიტიკური გამოცდა.

საქართველოს კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომმა, ენერგიულად უნდა მოკიდოს ხელი პარტიის წევრ და კანდიდატთა მთელი შემადგენლობის შეიარაღებას მარქს-ლენინ-სტალინის თეორიით, ამხ. სტალინის მოხსენებისა და ყრილობის გადაწყვეტილებათა დაყვანას ყველა მშრომელამდე. მანვე მწვავე უნდა დაარტყას იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას იჩენენ პარტიული სწავლებისადმი.

არტ. ალიბეგაშვილი.

სტალინელები ანხორციელებენ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს

ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხანაში მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ძირითადად გარდაიქმნა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა. შეიქმნა პირველადი პარტორგანიზაციები.

აი რას ამბობს თავის მუშაობის შესახებ პარტორგი ამხ. **ბიბილაშვილი.**

ორი წელიწადია, რაც პარტორგანიზატორად ვითვლები სახარატო საამქროს ამხ. ლევანიძის საოსტატოში, სადაც მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის მუშაობის გაშლამდე საამქროს პარტუჯრედის მდივნად ვიყავი და ვიბრძოდი გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. საოსტატო რიცხობრივ გეგმას სისტემატიურად ასრულებდა 110—115 პროცენტით, მაგრამ მოიკოჭლებდა ხარისხობრივ მაჩვენებელთა შესრულების საქმეში, გვქონდა წუნი.

— თუმცა ახსნა-განმარტებითი მუშაობას ვეწეოდი ტექნიკური ცოდნის ამაღლებისათვის, მაგრამ ზოგიერთი მსმენელი მაინც გაურბოდა ტექსწავლებას. შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს მაინც ქონდა ადგილი, ამხ. სტალინის მოხსენებისა და ყრილობის მასალების შესწავლისათვის მუშაობის გაშლის შემდეგ საშუალება მომეცა პირველად პარტორგანიზაციაში უფრო ფართოდ მუშაობა გამეჩაღება. თვითეულ საკითხს ჯერ თვითონ ვეცნობი, ვსწავლობ, შემდეგ ორგანიზაციაში გადამაქვს და ვასწავლი ცალკე ამხანაგებსაც.

ჩემს პირველად ორგანიზაციაში გაერთიანებულია 42 კაცი, აქედან 19 პარტწევრი, 2 კანდიდატი, 6 კომკავშირელი და 15 უპარტიო. პოლიტ-ტექსწავლებაში ყველანი არიან ჩაბმულნი. მეცადინეობაზე სისტემატიურად დადიან.

ამხანაგებს პირველად პარტორგანიზაციაში სტალინის მოხსენება და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი 8 მარტამდე ძირითადად შევასწავლე. 8 მარტს რგოლუჯრედების მდივანთა გადარჩევის დროს კვლავ ამირჩიეს პირველად პარტორგანიზაციის, პარტორგანიზატორად. 9 მარტიდან 15 მარტამდე პარტჯგუფში ამხანაგებს ვასწავლიდი ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებას. 15 მარტს ჩავატარე საუბარი — გასამხედროების შესახებ. ამჟამად საამქროში ჩამოყალიბებულია სამხედრო საქმის შემსწავლელი ორი წრე, სადაც გაერთიანებულია 80 კაცი.

ამხ. ბიბილაშვილმა განაცხადა, რომ პირველად ძალიან მიძნელდა ახალი მეთოდით მუშაობა, მაგრამ, როდესაც გულდასმით გავეცანი ამხ. სტალინის და კაგანოვიჩის მოხსენებებს, რომ ახალი სტრუქტურით მუშაობა თურმე უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე წინათ იყო.

აი როგორია ჩემი მოკლე ხნის მუშაობის შედეგი.

წინათ, ჩემს ჯგუფში ახალ ხელნას ვჭრახავდით 23—24 საათში, მაგრამ ბელადის საპროგრამო მოხსენების შესწავლის შემდეგ ხელნის გაჩარხვას 21—22 საათი უნდება. იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო გავზრდი შრომის ნაყოფიერებას.

საოსტატოში ამჟამად წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევა თითქმის ალმოფხვრილია. მაგ., მრანდიავები: სამხარაძე და პლოტნიკოვი წინათ წუნდებულ პროდუქციას თვეში 3—4-ჯერ უშვებდენ, მაგრამ მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა შესწავლისათვის მუშაობის გაშლის შემდეგ ამხ. სამხარაძემ მთლიანად ალმოფხვრა წუნი. მხოლოდ მრანდიავ პლოტნიკოვს ჰქონდა წუნდებული პროდუქციის გამოშვების ერთი შემთხვევა. პლოტნიკოვის საკითხი გავარჩიეთ პარტორგანიზაციაში, მის მიერ გამოშვებული წუნდებული დეტალი გამოვკიდეთ საამქროს თვალსაჩინო ადგილზე მათთვის სარცხვენი წარწერით, პლოტნიკოვი კი გადავეცით ამხ. სასამართლოს. 17 მარტს ქარხანაში საჯაროდ იქნა გასამართლებული პლოტნიკოვი, როგორც წუნდებული პროდუქციის გამომშვები; ამის შემდეგ ამხ. პლოტნიკოვმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობას.

საამქროს მოწინავეთა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შეფად ავიყვანეთ მოწინავე ზანგურაშვილი და ალთუნაშვილი. მე წამხაბა მრანდიავმა ამხ. ჯავახაძემ და შეფად აიყვანა შავი მუშა ამხ. ნავროზაშვილი. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ შეფად აყვანილი ამხანაგები პირველი მაისისათვის გავხადოთ კვალიფიკაციურ მუშად.

საამქროს პარტორგანიზატორისა და ქარხნის „ოტკის“ დახმარებით საოსტატოში დაზგებზე შემოვიღეთ სხვადასხვა ფერი „პატარა დროშის“ სისტემა, რომელიც დამზადებულია თუნუქის პატარა ნაჭრისაგან.

რისთვის გვჭირდება ეს?

როდესაც დაზგასთან მასალა არ არის და მუშა ცდება, ის დაზგაზე აღმართავს ლურჯი ფერის პატარა დროშას. ეს ნიშანია იმის, რომ მას არა აქვს საჭირო სამუშაო მასალა.

ავიღოთ მეორე მაგალითი: ვთქვათ, მუშას, მანქანის ამათუიმ ნაწილის გაჩარხვის დროს არ აქვს ნახაზი — ამ შემთხვევაში ის აღმართავს მწვანე ფერის დროშას. თუ დაზგას საჭირო თითონი აკლია, გამოეკიდება ცისფერი დროშა. ასე ხდება დაზგაიარაღის დაზიანების, მუშა-ხელოსნის გამოუცხადებლობის და დაგვიანების შემთხვევის დროსაც.

დროშა ნიშანს აძლევს საამქროს მმართველს, ოსტატს, ბრიგადირს, ჯგუფის პარტორგს, საამქროს პარტორგანიზატორს და პროფრწმუნებულს, რომ მუშაობა ფერხდება, საჭიროა დახმარებაო — ეს მართლაც ასე ხდება.

ამ სისტემის შემოღებამ თითქმის მთლიანად მოსპო მუშა-ხელის სიარული მასალისა და ხელსაწყოს საძებნელად, და სამუშაო წუთების ფუჭად გაცდენა.

მე, როგორც საოსტატოს პარტორგს, ყოველდღიური მჭიდრო კავშირი მაქვს საამქროს პარტორგანიზატორთან. ჩემი მუშაობის შედეგს სისტემატიურად ვინიშნავ პარტორგის სახსოვარ წიგნაკში და ვსახავ აგრეთვე ყოველდღიურ სამუშაო გეგმას.

განზრახული მაქვს საოსტატოში ჩამოვაყალიბო რედკოლეგია და გამოვცე დეკადური კედლის გაზეთი.

აი, რამდენიმე დღის ჩემი მუშაობის შედეგი. იმედი მაქვს კიდევ უფრო გარდავქმნი მუშაობას მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად — ასე დაამთავრა თავისი საუბარი პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელმა ამხ. გიორგი ბიბილაშვილმა.

დ. ჯღარკავა.

კალინინის სახ. ქარხნის სალურსმო საამქროს პარტორგანიზატორი ამხ. **ტუღუშელაშვილი** დასვენების დროს დაზგასთან მუშებს ასწავლის ამხ. სტალინის მოხსენებას.

სოცშეჯიბრება უგზოობის ლიკვიდაციისათვის

ყვარელის რაიონი ჩაება შეჯიბრებაში

ტფილისი „კომუნისტის“ რედაქციას

ყვარელის რაიონი ებმება „კომუნისტის“ ინიციატივით გაჩაღებულ უგზოობასთან ბრძოლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველა სამიმოსვლო გზის შეკეთებას რაიონში დავამთავრებთ 15 სექტემბრამდე. აგრეთვე მთლიანად გავამწვანებთ დანერგვებით ყვარელ-გურჯაანის ახალ გზას მდინარე ალაზნამდე, შევაკეთებთ რაიონში ყველა ბოგირს, პირველ ივნისამდე მთლიანად დავამთავრებთ ალაზნის ხიდის მშენებლობას. უგზოობასთან ბრძოლის ფართოდ გასაშლელად სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ გურჯაანისა და თელავის რაიონებს.

ყვარელის პარტრაიკომის პასუხისმგებელი მდივანი **ადამაძე.**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **თანდილაშვილი.**

გაზ. „ლენინური გზით“-ის რედაქტორი **დავითიანი.**

საგზაო სექცია **თვალჭრელიძე.**

საგზაო მშენებლობის დამკვრელი ათდღიური

(ხარაგოული, საკ. კორ.)

ხარაგოულის აღმასკომის საგზაო განყოფილება ჩაება უგზოობის ლიკვიდაციისათვის გაზ. „კომუნისტის“ ინიციატივით გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დამუშავდა „კომუნისტის“ 9 მარტის ნომერში მოთავსებული საკავშირო შეჯიბრების პირობები. 1934 წელს საგზაო მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის საკონტროლო ციფრები დაყვანილია სასოფლო საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე. ხარაგოულის რაიონმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბაღდათის რაიონი.

10 მარტიდან 20 მარტამდე რაიონში ჩატარდა საგზაო მშენებლობის დამკვრელი ათდღიური. ათდღიურის პერიოდში **ლაშის** სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე **ვ. ლომიძემ**), დარაზმა მთელი სოფლის მოსახლეობა და საგზაო მშენებლობის წლიური გეგმა შეასრულა 38 პროც. სარგვეშის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე — **ბუაჩიძე**) წლიური გეგმა შეასრულა 22 პროც., და სხ.

ხევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **გოგილაძეს** და წიფას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ხადურის** უმოქმედობის გამო, აღნიშნული საბჭოები დამკვრელ ათდღიურის ჩატარებაში სამარცხვინოდ ჩამორჩენ.

თვითეულ გზაზე მიმაგრებულია სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობა

(ლაგოდეხის რაიონი)

ჩუვაშიის კოლმეურნეობათა გამოცდილების მაგალითზე, საგზაო მშენებლობას ლაგოდეხის რაიონში სათავეში ჩაუდგა სამ.-სატ. სადგურის **პოლიტგანყოფილება,** საგზაო მშენებლობის სექტორის სახით.

შესდგა 1934 წლის საგზაო მშენებლობის გეგმა. რაიონმა ამიერ-კავკასიაში პირველმა მიამაგრა ყველა სახის გზები არა მარტო სოფლებს **და სოფლის საბჭოებს,** არამედ თვითეულ კოლმეურნეობასაც კი, აგრეთვე გამოიყო კოლმეურნეობებში მუდმივი **საგზაო ბრიგადები,** რომელთა საშუალებით იხდიან კოლმეურნეობები საგზაო 15 დღიან ვალდებულებას. ამასთან, გამოყენებულია საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის მასობრივი ფორმა: დამკვრელი ერთთვიური, შაბათობა და სხვ. მიმდინარე წელს უკვე ჩატარდა ერთი დამკვრელი ერთთვიური.

იმ მიზნით, რომ თვითეული საკოლმეურნეო საგზაო ბრიგადა დაეუფლოს საგზაო მშენებლობის ტექნიკას, განზრახულია რაიონში მოეწყოს ბრიგადირების მოსამზადებელი ორკვირიული საგზაო კურსები.

სპეციალისტთა კომისიამ გამოარკვია, რომ რაიონში საგზაო სამუშაოების (მიწის და კლდის) მოცულობა აღემატება 25 ათას კუბ. მეტრს.

ლაგოდეხის რაიონის საზღვრებში შედის რესპუბლიკური მნიშვნელობის **ლაგოდეხ - წნორის გზატკეცილი** 31 კილომეტრის სიგრძით. ბუდიონოვკის, ვარდისუბნის, ყარსუბნის, ახალ ულიანოვკის და ლაგოდეხის სასოფლო საბჭოების გადაუდებელი ამოცანაა მიმდინარე წელს ამ გზის აღსადგენად დახარჯონ 96.541 მანეთის კაცდღე და საკონელდღე.

ლაგოდეხის რაიონი აშენებს აგრეთვე აღმოსავლეთ-კავკასიის გზას, 34 კილომეტრზე. ამ გზის მშენებლობაზე მთავარ ყურადღებას იპყრობს ბუდიონოვკა-ბაისუბნის ულელტეხილი (სამი კილომეტრის სიგრძის) ეს ულელტეხილი ახლა ხუთ დიდ სოფელს წყვეტს რაიონის ცენტრს. ულელტეხილზე მუშაობა დაიწყო 1 თებერვლიდან. კოლმეურნეობათა აქტიობის შედეგად, დღემდე შესრულდა სამუშაოთა 30 პრ. და მალე მუშაობა სულ დამთავრდება. რაიონს ყავს სოფლის საბჭოს საუკეთესო თავმჯდომარეები, რომლებიც იბრძვიან უგზოობის ლიკვიდაციისათვის. მათ შორის აღსანიშნავია **ამხ. გ. გოზალაშვილი** და **ვ. კახეთელიძე.**

წელს ლაგოდეხის რაიონის საბრძოლო ამოცანაა ლაგოდეხ - წნორის გზატკეცილის აღდგენა რაიონის საზღვრებში და საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულება. პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით, ლაგოდეხის კოლმეურნეები წარმატებით, მაღალხარისხოვნად შეასრულებენ საგზაო მშენებლობის გეგმას.

ტირძნისელი.

მარტის 27-ს, საღამოს 7 საათზე, ქ. ტფილისში, სახალხო წითელ დარბაზში გაიხსნება სრულიად საქართველოს

ცაკის მესამე სესია

იქვე, იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება კომფრაქციის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საქ. სსრ-ის 1934 წ. სახალხო მეურნეობის გეგმის შესახებ (მომხს. სახკომსაბჭოს თავ-რე ამხ. **გ. მგალობლიშვილი**).
2. მოხსენება საქ. სსრ-ის 1934 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. (მომხს. ამხ. **აკ. თათარიშვილი**).
3. სს ცაკის მე-2 და მე-3 სესიის შორის მიღებულ საკანონმდებლო აქტების და დადგენილებების დამტკიცების შესახებ (მომხსენებ. ამხ. **თ. ჟღენტი**).

მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი მასებში

პროპაგანდისტის კუთხე

რა არის კაპიტალიზმის საერთო კრიზისი?

კაპიტალიზმი 1914—1918 წლების ომის შემდეგ რადიკალურად განსხვავდება ომამდელი კაპიტალიზმისაგან, განსხვავდება ვინაიდან მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა და მის მიერ რუსეთში წარმოშობილმა სოციალისტურმა რევოლუციამ „შეარყია მსოფლიო კაპიტალიზმის მთელი სისტემა და საფუძველი ჩაუყარა მისი **საერთო კრიზისის** პერიოდს“, — ნათქვამია კომინტერნის პროგრამაში.

ბურჟუაზია ომის შემწეობით ცდილობდა მთელ რიგ იმ ძირითად წინააღმდეგობათა გადაჭრას, რომლებიც დაგროვდა იმპერიალიზმის ეკონომიური განვითარების მსვლელობაში. სინამდვილეში კი ომმა ვერ გადასჭრა და არც შეეძლო გადაეჭრა არც ერთი ამ წინააღმდეგობათაგანი. კიდევ მეტი: მან უკვე არსებულ იმპერიალისტურ წინააღმდეგობებს მიუმატა ახალი წინააღმდეგობანი.

ომმა, რომელმაც დიდი უბედურება და გაჭირვება დაატეხა თავს ხალხთა მასებს, აამოძრავა აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის მუშათა კლასის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები და გლეხთა მრავალმილიონიანი მასებიც კი. მან დიდად შეუწყო ხელი ჩამორჩენილი კოლონიალური ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლას და ჩააბა ისინი აქტიურ ბრძოლაში იმპერიალისტური ძარცვის და ჩაგვრის წინააღმდეგ, მან გაამწვავა ყველა შინაიმპერიალისტური წინააღმდეგობა, გააძლიერა გამარჯვებული ქვეყნების მიერ დამარცხებული ქვეყნების და კოლონიების ჩაგვრა და დამონება.

ამიტომ იმპერიალისტური ომი, **ლენინის** გამოთქმით, ნამდვილად იყო ის დიდი, მძლავრი და ყოვლისშემძლე „რეჟისორი“, რომელმაც უდიდესად დააჩქარა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა და წარმოშვა „არნახული სიძლიერის მსოფლიო კრიზისები, ეკონომიური და პოლიტიკური, ნაციონალური და ინტერნაციონალური“ [1]).

ახასიათებდა რა იმპერიალიზმის ომის შემდგომ წინააღმდეგობებს, ლენინი კომინტერნის მეორე კონგრესზე ამბობდა: „...გაუგონრად გაიზარდა მასების გაჭირვება, გაღატაკება, უწინარეს ყოვლისა 1¼ მილიარდი ადამიანის, ე. ი. დედამიწის მთელი მოსახლეობის 70 პროცენტის მიმართ. ესენია—კოლონიალური, დამოკიდებული, იურიდიულად უუფლებო მოსახლეობის ქვეყნები, ისეთი ქვეყნები, რომელთა „მანდატიც“ გადაცემული აქვთ ფინანსიურ ყაჩაღებს... შეუძლებელია 1¼ მილიარდმა კაცმა იცხოვროს ისე, როგორც მათი დამონება სურს „მოწინავე“ და ცივილიზებულ კაპიტალიზმს, ეს ხომ დედამიწის მოსახლეობის 70 პროცენტია. ხოლო უმდიდრეს სახელმწიფოთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობას, ინგლისს, ამერიკას, იაპონიას... ამ 2—3 ქვეყანას არ ძალუძს ეკონომიური ურთიერთობათა მოგვარება და თავის პოლიტიკას წარმართავენ ერთა ლიგის მხრივ თავისი მონაწილეების და პარტნიორების პოლიტიკის ჩაშლისაკენ. აქედან გამომდინარეობს მსოფლიო კრიზისი“ [2]).

ეს არის **კაპიტალიზმის თვით სისტემის კრიზისი,** იმის მაჩვენებელი, რომ დაიწყო მისი მსხვრევა და რღვევა. კაპიტალიზმი გამოვიდა ომიდან წელში გატეხილი, შერყეული, არაქათ გამოცლილი, უღრმესი კრიზისით მოცული ყველა თავის რგოლში. ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში იყო ახალი ფაზის, სახელდობრ — **კაპიტალიზმის დამსხვრევის დაწყების ფაზის** მომასწავებელი.

კაპიტალიზმის ყველა შინაგანი და გარეშე წინააღმდეგობათა უდიდესმა გამწვავებამ გამოიწვია ის, რომ იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემიდან იწყეს ჩამოვარდნა მისმა სუსტმა რგოლებმა, რომლებსაც არღვევდა სოციალისტური რევოლუცია. „ეს ეპოქა,—ამბობდა ლენინი, —გიგანტური კრახების, კრიზისთა მასობრივ სამხედრო ძალდატანებითი გადაწყვეტათა ეპოქაა — იგი დაიწყო, ჩვენ მას ნათლად ვხედავთ ეს მხოლოდ დასაწყისია“ [3]).

იმ „მემარცხენე“ კომუნისტებთან პოლემიკის დროს, რომლებმაც 1918 წლის დასაწყისში წამოაყენეს თეზისი: „უახლოესი გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში უნდა დაიწყოს იმპერიალისტური სისტემის დამსხვრევაო“, ლენინი წერდა: „არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი არ იტყვის, თუ **როდის** „უნდა დაიწყოს“ „სისტემის“ ესა თუ ის დამსხვრევა (მით უმეტეს, რომ სისტემის დამსხვრევა უკვე დაიწყო.., ხოლო ლაპარაკია **ცალკეულ** ქვეყნებში აფეთქების მომენტზე)“ [4]).

კაპიტალიზმის დამსხვრევა დაიწყო. იგი შევიდა თავისი დაღუპვის ფაზაში. მაგრამ მისი დამსხვრევა არ წარმოადგენს მოკლე, ერთდროულ აქტს, იგი ავსებს კლასობრივი ბრძოლების და ხალხთა აჯანყებების მთელ ისტორიულ ხანას.

როცა კაპიტალიზმის **საერთო კრიზისის** შესახებ ლაპარაკობენ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ, რომ დაიწყო მისი დამსხვრევის და დაღუპვის ეპოქა აჯანყებული პროლეტარიატის და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მშრომელთა მასების მედგარი შეტევის გამო, რომ დაიწყო ეპოქა პროლეტარული რევოლუციისა, რომლის შედეგადაც კაპიტალიზმი დამარცხებული და მოსპობილი იქნება მთელს მსოფლიოში.

შემდეგ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისი გამოიხატება იმაში, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ **იმპერიალიზმი უკვე არ წარმოადგენს ერთიანი ყოვლის შემცველ სისტემას.** ლპობის და გახრწნის გზაზე მდგარ კაპიტალისტური მეურნეობის სისტემას უპირისპირდება ძლევამოსილი სოციალიზმის სისტემა. კაპიტალიზმის ყველა შინაგან წინააღმდეგობას კიდევ მიემატა მსოფლიო ისტორიული მასშტაბია და მნიშვნელობის ახალი უღრმესი წინააღმდეგობა, სახელდობრ წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის.

ეს არის ორი მსოფლიოს, ორი ბანაკის, მეურნეობის ორი სისტემის, მიზიდულობის ორი ცენტრის წინააღმდეგობა. იგი წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის ძირითად წინააღმდეგობას. ახასიათებდა რა ამ წინააღმდეგობის მნიშვნელობას, ამხანაგი **სტალინი** მე-16 ყრილობაზე ამბობდა:

„მაშასადამე, ეს წინააღმდეგობა არ არის **შინაკაპიტალისტური** ხასიათის წინააღმდეგობა. იგი არის წინააღმდეგობა მთლიანად კაპიტალიზმსა და სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას შორის. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას გახრწნას და შეარყიოს თვით საფუძვლები კაპიტალიზმისა, კიდევ მეტი, იგი მთლად აშიშვლებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას და თავს უყრის მათ ერთ კვანძში, ხდის რა მათ თვით კაპიტალისტური წესების სიცოცხლე-სიკვდილის საკითხად“ [5]).

წინააღმდეგობა ორ ბანაკს შორის არ მცირდება, არ ქრება. პირიქით, უღრმესი ეკონომიური კრიზისი, რომელიც თავდაყირა აყენებს მთელს ბურჟუაზიულ ეკონომიკას, აღშფოთების ზრდა და მუშათა კლასის აქტიური გამოსვლები კაპიტალიზმის ქვეყნებში, ერთის მხრით, და სოციალიზმის მზარდი წარმატებანი საბჭოთა კავშირში მეორეს მხრით, სულ უფრო და უფრო აღრმავებს და ამწვავებს ორ მსოფლიოს წინააღმდეგობებს. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემის კრიზისი იზრდება და ღრმავდება.

იმპერიალიზმის ყველა შინაგანი წინააღმდეგობა: კლასობრივი, ნაციონალური, სახელმწიფოებს შორის, გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს შორის, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის, უაღრესად მწვავდება და ღრმავდება ორ მსოფლიოს ამ მოპირდაპირობის და მზარდი კონტრასტის გადამწყვეტი ზეგავლენით.

ჩვენში — მოისპო უმუშევრობა, იზრდება კულტურა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა სოციალიზმის მწარმოებელ ძალთა მძაფრი ზრდის საფუძველზე.

მათთან — მუშათა კლასის ნახევარი უმუშევარია, მეორე ნახევარი იძულებულია იმუშაოს უაღრესად მათხოვრულ ხელფასისათვის. იზრდება შიმშილი, სიღატაკე, ჩაგვრა და აბუჩად აგდება ფაშისტური დიქტატურის მხრივ.

ჩვენში — გლეხები კოლმეურნეობების საფუძველზე მიდიან კულტურულ, შეძლებულ ცხოვრებისაკენ, საბოლოოდ დააღწიეს რა თავი სიღატაკეს და კულაკურ კაბალას. **მათთან** — ხდება გლეხების გაღატაკება, გაპარტახება, ისინი გმინავენ აგრარული კრიზისის ბრჭყალებში, ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებულნი.

ბურჟუაზიული ეკონომიკის საწარმოო ძალები იძულებულნი არიან უმოქმედოდ იყვნენ. საწარმოო წარმოებითი სიმძლავრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული. წარმოების უმოქმედო საშუალებანი — ერთის მხრით, უმუშევარ მშიერ პროლეტართა 50 მილიონიანი არმია — მეორე მხრით, —ასეთია ბურჟუაზიული მეურნეობის მრავალმეტყველი სურათი.

კაპიტალიზმის საწარმოო ძალები გასცილდენ კაპიტალისტური გამოყენების ჩარჩოებს. მათსა და კერძო კაპიტალისტური მითვისების ინტერესებს შორის შეიქმნა უმძაფრესი წინააღმდეგობა. ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობა აბსოლუტურად შეუთავსებელი გახდა ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებთან. საზოგადოების ცხოვრება შეუთავსებელი ხდება ბურჟუაზიის შემდგომ ბატონობასთან. ეს წინააღმდეგობა ქმნის მთელი კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ეკონომიურ საფუძველს. იგი მოწმობს, რომ კაპიტალიზმს, როგორც მეურნეობის სისტემას, აუცილებელი დაღუპვა მოელის.

ლენინი ამიტომ ამბობს, რომ იმპერიალიზმმა „მთელი კაცობრიობა მიიყვანა უფსკრულის, მთელი კულტურის დაღუპვის პირამდე, კიდევ მრავალი მილიონი, ურიცხვი მილიონი ადამიანის გაველურებისა და დაღუპვის პირამდე. გამოსავალი **არ არსებობს,** გარდა პროლეტარიატის რევოლუციისა“ [6]).

ბურჟუაზიას არ ძალუძს შეაჩეროს კაპიტალიზმის უკვე დაწყებული რღვევა, არ ძალუძს თავისი მეურნეობის თვით სისტემის კრიზისის დაძლევა, კაპიტალიზმის ხსნა დაწყებული დაღუპვისაგან, არ ძალუძს აგრეთვე ბურჟუაზიის მოწინავე რაზმს—ფაშიზმს და მის ძმას—სოციალ-ფაშიზმს.

სოციალ - ფაშიზმი ომის შემდგომ პერიოდში გამოდიოდა როგორც ბურჟუაზიული წყობილების მთავარი სოციალური დასაყრდენი. თუ არა სოციალ - დემოკრატიის ბელადების მოღალატური როლი, ბურჟუაზიის ძალაუფლება დიდი ხნია დამხობილი იქნებოდა. სოციალ-დემოკრატიის ბელადების რეაქციული გამცემლური როლი სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება მშრომელთა ფართო მასებისათვის. სოციალ-დემოკრატიული პარტიები რღვევის პერიოდში იმყოფებიან, ამით ბურჟუაზია ეცლება მთავარი სოციალური დასაყრდენი მუშათა კლასის რიგებში.

კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაცია დამთავრდა. კაპიტალისტური მსოფლიო შედის რევოლუციების და ომების ახალ რკალში. კაპიტალიზმის მთელი სისტემის საერთო კრიზისი ახალ უფრო მაღალ საფეხურზე ადის.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ბურჟუაზიული წყობილება დაიღუპება თავისთავად, ავტომატიურად, რომ რევოლუცია მოვა თავისთავად „თვითდინების წესით“.

ლენინს და სტალინს არა ერთხელ გაუფრთხილებიათ კომუნისტური პარტიები და მუშათა კლასი, რომ „რევოლუციის გამარჯვება არასოდეს არ ხდება თავისთავად. იგი უნდა მოვამზადოთ და დავიპყროთ. ხოლო მისი მომზადება და დაპყრობა შეუძლია მხოლოდ ძლიერ პროლეტარულ რევოლუციურ პარტიას“ [7]).

ბურჟუაზიული წყობილება მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში უღრმეს კრიზისს განიცდის. იმპერიალიზმის კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ ძლევამოსილად ვითარდება მძლავრი რევოლუცია ჩინეთში, ფაშისტური ჩაგვრის წინააღმდეგ კაპიტალიზმის ქვეყნების ხალხთა მასებში მწიფდება რევოლუციური იერიშის იდეა. ამას ნათლად მოწმობს, ვენის პროლეტარიატის გმირული აჯანყება, მუშათა კლასის მძლავრი კლასობრივი გამოსვლები საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი აიძულებენ ბურჟუაზიას დაიწყოს ახალი ომი, და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი განაგრძობს ბურჟუაზიული ეკონომიკის უღრმესი საფუძვლების მსხვრევას და შლის მის ფინანსებს. კაპიტალიზმის ეკონომიურ დაქვეითებას და კრიზისს უპირისპირდება სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა და მძაფრი ზრდა საბჭოთა კავშირში.

ყველა ეს ფაქტორი უაღრესად აღრმავებს და ამწვავებს კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისს. ბურჟუაზიული მსოფლიო შედის რევოლუციების და ომების ახალ რკალში. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი დაიმხობა თავისთავად. ტყუილად კი არ მოაგონებდა ამხანაგი სტალინი მე-17 ყრილობის ტრიბუნიდან ჩვენს პარტიას და ყველა მოძმე კომუნისტურ პარტიებს ლენინის ბრძნულ სიტყვებს, წარმოთქმულს კომინტერნის მე-2 კონგრესზე: „ბურჟუაზიული წესწყობილება მთელს მსოფლიოში უდიდეს კრიზისს განიცდის. ახლა საჭიროა რევოლუციურ პარტიათა პრაქტიკით „დაამტკიცონ“ რომ მათ აქვთ საკმაო შეგნება, ორგანიზებულობა, კავშირი ექსპლოატირებულ მასებთან, გამბედაობა, უნარი, რათა ეს კრიზისი გამოიყენონ წარმატებითი ძლევამოსილი რევოლუციისათვის“ [8]).

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება კაპიტალიზმზე და ფაშიზმზე საჭიროა მოვამზადოთ და დავიპყროთ.

(„პრავდა“, 21 მარტი).

---

[1] ლენინი, ტომი XX, გვ. 14.

[2] ლენინი, ტ. XXV. გვ. 338—340.

[3] ლენინი, ტ. XXII, გვ. 350—351.

[4] ლენინი, ტ. XXII, გვ. 507.

[5] ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 499.

[6] ლენინი: ტ. XX, გვ. 134.

[7] ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება მე-17 ყრილობაზე, გვ. 17.

[8] ლენინი, ტ. XXV, გვ. 340—341.

პარტორგანიზატორებო, სათავეში ჩაუდექით მასების აქტივობას

სოფლის ორგანიზაციების გარდაქმნა დროის მიხედვით დაემთხვა საგაზაფხულო თესვას. ეს საშუალებას მოგვცემს დაუყოვნებლივ შევამოწმოთ გარდაქმნის ხარისხი. საგაზაფხულო თესვა წარმოადგენს ისეთ სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიას, რომელიც ყველაზე უკეთ გვიჩვენებს კომუნისტთა ბრძოლის უნარიანობას.

სამხრეთის რაიონებში თესვა გაჩაღებულია. უახლოეს დროში იგი მთელს ჩვენს ქვეყანაში გაიშლება. რა მოეთხოვება კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს? უწინარეს ყოვლისა, ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ თესვას უშუალოდ მინდორში, მუდამ იყვნენ კოლმეურნეთა შორის, პირადი მაგალითით უჩვენონ მათ, თუ როგორ უნდა მუშაობა.

ოპერატიული ხელმძღვანელობა ნიშნავს იცოდე, თუ როგორ მუშაობს კოლმეურნეობა დღეს, სრულდება თუ არა გამომუშავების ნორმები, როგორია თესვის ხარისხი და რატომ არ გამოდგება დღეს ესა თუ ის კოლმეურნე სამუშაოდ, რატომ იყო ესა თუ ის მანქანა ცუდად გამოყენებული. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია პასუხისმგებელია თესვის მიმდინარეობისათვის. იგი მუდამ უნდა ამოწმებდეს, თუ როგორ სრულდება გეგმა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივ მუშაობას ბრიგადაში. ბრიგადის პარტიული ორგანიზატორი — ეს ბრიგადის პოლიტიკური ხელმძღვანელია. მაგრამ ძალიან ხშირად ბრიგადის პარტორგებს არ ესმით თავისი ამოცანები, არ შეუგნიათ თავისი პასუხისმგებლობა. რაიკომში აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციები, რომლებზედაც ლაპარაკია, გარდაიქმნენ.

ბრიგადის პარტორგი — ეს მასების ორგანიზატორია, შეჯიბრების ორგანიზატორია. სწორედ ასეთი პარტორგებია საჭირო საკოლმეურნეო ბრიგადებისათვის.

ყველაზე უფრო მთავარს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ახლა წარმოადგენს იმის პროპაგანდა, რომ მხოლოდ პატიოსანი შრომა უზრუნველყოფს შეძლებულ ცხოვრებას. საჭიროა ყოველდღიურად, მუდამ განვუმარტოთ კოლმეურნეებს, რომ თვით მათზეა დამოკიდებული კოლმეურნეობის კეთილდღეობა, მაღალი შემოსავლიანობა. კიდევ და კიდევ უნდა გავიხსენოთ ამხ. სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „კოლმეურნეობებს მოეპოვებათ ყველაფერი იმისათვის, რომ შეძლებულად იცხოვრონ. მათთვის კიდევ ერთი რამ არის საჭირო: პატიოსნად იმუშაონ კოლმეურნეობაში და გაუფრთხილდენ საკოლმეურნეო დოვლათს“.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა შემოწმდება თესვის გეგმების წარმატებით შესრულებით და მაღალი მოსავლით.

(„პრავდა“).

საკვები ბალახების თესვაში ჩამორჩენას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს

30 რაიონი აქამდე არ შესდგომია საკვები ბალახების თესვას

მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას საკვების მტკიცე ბაზის შექმნა წარმოადგენს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება თითქოს ნათელი უნდა იყოს სოფლის თვითეული პარტიული ორგანიზაციისა და მეცხოველეობის თვითეულ მეურნეობისათვის.

მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? ნაცვლად იმისა, რომ ამ საქმეს მიაქციონ სერიოზული ყურადღება, ადგილი აქვს მეცხოველეობის საკუთარ ბაზის შექმნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

ავიღოთ კულტურული ბალახების საკითხი. ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანას ბუნებრივი, სათიბები წინათაც განსაზღვრული რაოდენობით მოიპოვებოდა. ეს რაოდენობა დღეს კიდევ უფრო შემცირებულია, ვინაიდან სათიბების ნაწილი სხვადასხვა კულტურებისათვის მოხნეს. ამ გარემოებაზე პარტიამ და მთავრობამ უკვე მიაქცია ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება და საქმის მოსაგვარებლად თვითეულ რაიონს დაუსახა კონკრეტული გეგმა, დაავალა კულტურული ბალახების თესვა.

გასული წლების განმავლობაში რაიონების მეტი ნაწილი ამ საქმეს სახსვათაშორისოდ უცქერდა. რაიმიწგანები სხვა კულტურების თესვას ხელმძღვანელობას უწევდენ, ბალახების თესვა კი ალალბედზე იყო მიტოვებული. საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, ან ერთპიროვნული მეურნე თუ თითონ გამოიჩენდა ინიციატივას, და ბალახების თესვის გეგმას შეასრულებდა, ხომ კარგი, თუ არა და რაიონული ხელმძღვანელობა ამისათვის თავს არ იწუხებდა.

სამწუხაროდ ასე გრძელდება დღესაც, როცა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებით მეცხოველეობის საკითხი სოფლის მეურნეობის ცენტრალურ საკითხად არის მიჩნეული.

ავიღოთ **სიღნაღის რაიონი.** კულტურული ბალახების თესვა 1.100 ჰექტარზე აქ 25 მარტისათვის უნდა დამთავრდეს. 20 მარტისათვის მხოლოდ 291 ჰექტარი იყო დათესილი. **ბორჩალოს რაიონს,** რომელმაც ბალახები ამავე ვადისათვის უნდა დათესოს 1.178 ჰექტარზე, **თესვა 20 მარტს კიდევ არ ქონდა დაწყებული.**

თელავის, ლიუქსემბურგის, კასპის, გორის რაიონებს, რომლებმაც ბალახების თესვა 1—5 აპრილისათვის უნდა დაამთავრონ, 20 მარტს ეს საქმე დაწყებული კიდევ არ ქონდათ.

საქართველოში წელს ნათეს ბალახებს 22.586 ჰექტარი უნდა დაეთმოს. 20 მარტისათვის ფაქტიურად მხოლოდ 390 ჰექტარი, ანუ გეგმის 1,7 პროც. იყო დათესილი და 38 რაიონიდან, რომლებსაც დავალებული აქვთ საკვები ბალახების დათესვა, ეს საქმე მხოლოდ 8 რაიონს ქონდა დაწყებული.

ეს გარემოება მოწმობს, რომ მეცხოველეობის განვითარების პრაქტიკული საკითხები ზოგან ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად და ლაპარაკი მეცხოველეობის განვითარებაზე „პატიოსან ლაყბობად" რჩება.

ამას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. საკვები ბალახების თესვას უნდა მიექცეს ისეთივე სერიოზული ყურადღება, როგორც მარცვლეულის თესვას. პარტრაიკომებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, რაიმიწგანებმა დაუყოვნებლივ უნდა გააძლიერონ ამ საქმეში თავისი ოპერატიული ხელმძღვანელობა ადგილებისადმი, უნდა უზრუნველყონ, რომ **თვითეულმა მეურნეობამ ვადაზე და უკლებლივ შეასრულოს ბალახების თესვის გეგმა,** რომ ამით **მტკიცე საფუძველი შეუქმნას მეცხოველეობის სწრაფი ტემპებით განვითარებას.**

თვალის ახვევის აღმაშფოთებელი ფაქტები

(ხონის რაიონი)

— ადრეულ ხვნის გეგმა, საუკეთესო ხარისხით შევასრულეთ, უყოყმანოდ ვიცავდით რაიაღმასკომის სავალდებულო დადგენილებას აგრო ღონისძიებათა გატარების შესახებ, საბოლოოდ უკუვაგდეთ მამაპაპური კავი; 18 ჰექტარი მიწა საუკეთესოდ მოვშლამეთ, გამწევი ცოცხალი ძალა კარგ მდგომარეობაში გვყავს. მზად ვართ თესვისათვის".

ასე განაცხადა სოფ. მათხოჯის არტელის თავმჯდომარემ ამხ. **მელაძემ** რაიონული კომ. და პოლიტ-განყ. მიერ მოწვეულ თათბირზე 15 მარტს.

20 მარტს, სხვა არტელებთან ერთად ადგილებზე შემოწმებულ იქნა მათხოჯის არტელის მზად ყოფნა თესვისათვის. გამოირკვა, რომ მათხოჯის არტელის თავმჯდომარემ მოატყუა პარტიული თათბირი, რაიონული კომიტეტი და პოლიტ-განყოფილება.; მართალია არტელს ადრეული ხვნის გეგმა შესრულებული აქვს, მაგრამ **მოხვნის ხარისხი აღმოჩნდა უვარგისი, ფართობების დიდი ნაწილი საჭიროებს ხელმეორედ გადახვნას.**

მთელი რიგი საუკეთესო ადგილები მოხნულია კავით, არ არის დაცული ხვნის სიღრმე და ხარისხი. 18 მარტისათვის არც ერთი ჰექტარი მიწა არ იყო მოშლამული, ცოცხალი გამწევი ძალის უმრავლესობა გამოუსადეგარია თესვისათვის.

მათხოჯის საკოლმეურნეო უჯრედს ზომები არ მიუღია ამ თვალის ახვევაში დამნაშავეთა წინააღმდეგ. საგაზაფხულო თესვისათვის მზად ყოფნის მოსამზადებელ სამუშაოს შესასრულებლად პოლიტგანყოფილების მიერ არტელზე მიმაგრებული იყო ამხ. **ანდღულაძე** მაგრამ იგი ერთხელაც არ გამოცხადებულა არტელში, არ შეუმოწმებია ადრეული ხვნის მიმდინარეობა, მუშა საქონელი, მოშლამვის საქმე, და სხვა. ის კოლმეურნეობას ხონიდან „უწევდა" სიტყვიერ და წერილობით ხელმძღვანელობას.

ხონის სამ. სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ სათანადო შეფასება უნდა მისცეს სოფ. მათხოჯის არტელის გამგეობის და საკოლმეურნეო უჯრედის ხელმძღვანელთა ამ თვალთმაქცურ საქციელს.

ა. ი.

საკვები ბალახების თესვა ჩაიშალა

(თელავი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წელს რაიონის კოლმეურნეობებს 150 ჰექტარზე უნდა დაეთესათ **იონჯა.** კოლმეურნეობათა დიდმა ნაწილმა ნიადაგი მოხნა და მარტის შუა რიცხვებიდან ფიქრობდენ თესვის დაწყებას. მაგრამ თესლი არ სჩანდა.

მეთესლეობის რაიონულ ბაზას გეგმით გათვალისწინებული ფართობისათვის საყოფი თესლი ჰქონდა, მაგრამ მიწსახკომის ბრძანებით მისი გაცემა შეჩერებული იყო. **ბოლოს გამოირკვა, რომ ეს თესლი უვარგისია.** მიღებულია მიწსახკომის ახალი განკარგულება იმის შესახებ, რომ იონჯას ზემოაღნიშნული თესლი არ იქნეს გამოყენებული, როგორც უვარგისი და ბალახისათვის გამოყოფილ ფართობებზე დაითესოს სხვა კულტურები.

თელავის რაიონის მეურნეობაში მეცხოველეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება იმ ტემპებით, როგორც პარტიის მე-17 პარტყრილობამ დასახა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კულტურული ბალახების თესვის შემოღებაზე. საკვები ბალახების თესვის ჩაშლა მიმდინარე წელს კი გამოიწვევს იმას, რომ რაიონი მომავალ წელსაც არ იქნება უზრუნველყოფილი ამ კულტურების **სათესლე მასალით.**

დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ღონისძიებები რაიონისათვის იონჯის თესლის მისაწოდებლად. აუცილებლად უნდა გამოინახოს სათესლე მასალა **იმ 50 ჰექტარისათვის მაინც, რომელიც თესლის მოსაყვანად არის გამოყოფილი.**

ქ. ჩარკვიანი.

თესვა 20 მარტისათვის

(საქართველოს მიწსახკომის ცნობები)

საქ. მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით **20 მარტისათვის საგაზაფხულო კულტურები საქართველოში დათესილი იყო სულ 29.553 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 4,6 პროც.** აქედან საბჭოთა მეურნეობებს დათესილი ჰქონდათ 5784 ჰექტ., გეგმის 37,2 პროც., კოლმეურნეობებს — 10.249 ჰექტ. — 5 პრ. და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 13.517 ჰექტ. 3,2 პროც.

პური დათესილი იყო 7.767 ჰექტ. გეგმის 14,7 პროც., **ქერი** — 15.233 ჰექტ. — 20 პროც., **შვრია** — 1342 ჰექტ., — 49,9 პროც., **მზესუმზირა**— 1379 ჰექტ., — 18,6 პროც., **სიმინდი** — 419 ჰექტ., 0,1 პროც., **ბოსტნეული** — 1410 ჰექტ., — 8,4 პროც., **კარტოფილი** 1.432 ჰექტ., — 8,1 პრ. და ა. შ.

თესვა დაწყებული ქონდა 28 რაიონს (15 მარტისთვის თესვა დაწყებული ქონდა 17 რაიონს) რაიონების მიხედვით დათესილია:

რაიონების დასახელება	დათესილი ჰექტ.	გეგმის % შესრულება
ბორჯომის	184	3,7
სიღნაღის	8.507	42
ყარაიას	593	9,3
ლიუქსემბურგის	794	22,7
დუშეთის	46	0,4
ალბულაღის	305	4,6
საგარეჯოს	1.781	16,6
ბაშკიჩეთის	11	0,2
ჩოლურის	61	4,5
ახალციხის	784	7,6
სტალინირის	3.669	16,3
გორის	1.159	6.6
კასპის	940	11,1
გურჯაანის	2.152	22,2
თელავის	2.388	15,1
ტფილისის	2.467	26
სამხ.-ოსეთში	2.461	10,5
ქუთაისის რაიონში	282	1,1
სამტრედიის	38	0,2
ჩხარის	197	2,4
ჭიათურის	289	1
ცაგერის	13	2,4
ხონის	18	0,2
ზუგდიდის	15	0,1
ოზურგეთის	2	—
ლანჩხუთის	1	—
აჭარისტანში	9	—
ლაგოდეხის	212	2,7

მარტის მეოთხე ხუთდღიურში **თესვას შეუდგა 11 რაიონი.** 15 მარტისათვის დათესილი იყო (17 რაიონში) 18.649 ჰექტ., რაც გეგმის 2,9 პროცენტს შეადგენდა. საანგარიშო ხუთდღიურში დაითესა სულ 10.904 ჰექტ. რაც გეგმის 1,7 პროცენტს შეადგენს. (ზუგდიდის რაიონს 15 მარტის შემდეგ ცნობა არ გადმოუგზავნია).

აღსანიშნავია **თესვის დაბალი ტემპები ერთპიროვნულ მეურნეობებში.** 20 მარტისათვის საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ქონდათ გეგმის 37,2 პროც., კოლმეურნეობებს 5 პროც. ერთპიროვნულ მეურნეობებს კი მხოლოდ 3,2 პროც.

ამ გარემოებას ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, რაიმიწგანებმა და სოფსაბჭოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ამოქმედებულ უნდა იქნან გამოცდილ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთაგან შემდგარი ხარისხის ინსპექციები, რომლებმაც ყოველდღიურად უნდა შეაფასონ თვითეული საკოლმეურნეო ბრიგადის, მეურნის დღიური გამომუშავების როგორც რაოდენობა, ისე ხარისხი, და იბრძოლონ თესვის ტემპების დაჩქარებისათვის. უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება დღიური ნორმების უკეთ შესრულებაზე.

საბჭოთა კავშირი ჩელიუსკინელთა დასახმარებლად



დირიჟაბლი—არქტიკაში

არხანგელსკი — რადიო ჩრდილოეთის კონცხი შმიდტის ბანაკი

ჯანსაღად და მხნედ ვართ, ველით გმირებს, სალამი.

ჯანსაღად და მხნედ ვართ, ველით გმირებს, სალამი.

ბაბუშკინები, ბაევსკები, ბობროვები, ბრუსილოვსკები, ვოლოვინა, გაკელი, გოგინა, გრომოვები, გუგევიჩი, ივანოვა, ივანიუკი, კრენკელი, მარკოვა, მოისეევა-ნოვიცკაია, რასი რუმიანცევი, საბლინა, სემიონოვა, ფოკიდოვი, მიზნიკოვა, შაფრანი, შერშოვა, შპაკოვსკაია, შმიდტი, როხინა.

ამხ. შმიდტის დეპეშა

ამხ. შმიდტის ბანაკიდან—24 მარტი 1934 წ.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო—ამხ. იოფეს.

ჩელიუსკინელები გახარებული არიან ნათესავთა კოლექტიური სალამით, გადაეცით: მადლობელი ვართ, ჯანმრთელად, ჯანღონით ხავზე ვართ. იმედი გვაქვს მალე გნახავთ.

შმიდტი.

თვითმფრინავების გაფრენა ხერხდება

ხაბაროვსკი, 25 მარტი. (ტასს). უკანასკნელი ცნობებით, კამანინის ავიორგულის თვითმფრინავების გაფრენა ხერხდება. ანადირში პურგა მძვინვარებს. იგი დაიწყო ჯერ კიდევ 23 მარტს დილიდან და ახლაც გრძელდება. სამი თვითმფრინავი, აგრეთვე დასახლებული პუნქტი ანადირი დანამქრულია ორი მეტრის სიღრმის თოვლით. [illegible] სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს გადმოცემით, პურგა მძვინვარებს ოხოტის ზღვის მთელ სანაპიროზე. იგი მოედვა ამურის ნიკოლაევსკს, სახალინის ალექსანდროვსკს, ოხას, ნოგაევოს და ოხოტსკის [illegible] ვოდოპიანოვის თვითმფრინავებიც. ვანკარემიდან მიღებული ცნობებით, [illegible] ამინდი უკეთესი არ არის. [illegible] კამანინის [illegible] თავისი მარშრუტი და, როცა კი გამოიდარებს, ანადირიდან პირდაპირ ვანკარემისაკენ [illegible] (ადს).

ყინულისმჭრელი „კრასინი" გავიდა ჩელიუსკინელთა დასახმარებლად

ლენინგრადი, 24 მარტი. 23 მარტს, 22 საათსა და 20 წუთზე ყინულისმჭრელი „კრასინი" გავიდა ზღვაში ჩელიუსკინელთა გადასარჩენად (ადს).

„კრასინის" მარშრუტი

მოსკოვი, 24 მარტი. „პრავდას სპეციალური კორესპონდენტი კრონშტადტიდან იუწყება, რომ ზღვაში გასვლის წინ ლაშქრობის მონაწილეთა თათბირმა მიიღო შემდეგი მარშრუტი: „კრასინი" მთელს გზაზე შმიდტის ბანაკამდე გაჩერდება მხოლოდ ნავთსადგურებში ქვანახშირის მარაგის შესავსებად. პირველი ნავთსადგური —, ხუკ-ოფ-გოლანდი, როტერდამის მახლობლად. აქ „კრასინი" უნდა ჩავიდეს 29 მარტს. პანამის არხში ყინულისმჭრელი შევა 20 აპრილს. სან-ფრანცისკოში—5 მაისს. მეოთხე ნავთსადგურია საბჭოთა ტერიტორია — პროვიდენიის ყურე, სადაც „კრასინი" 21 მაისს უნდა ჩავიდეს. აქედან „კრასინი" წაიღებს ქვანახშირს და გაემგზავრება შმიდტის ბანაკისაკენ. ყინულისმჭრელის მთელი კომანდის სანიმუშო მუშაობის შედეგად შეიძლება რეისის საგრძნობლად შემცირება. კრასინელებმაც ასე გადაწყვიტეს. ეკიპაჟის კრებამ წამოაყენა შემხვედრი ლაშქრობის გეგმა: მივიდენ პროვიდენიის ყურეში 10 მაისს (ადს).

ამხ. კიროვის მისალმება კრასინელებს

მოსკოვი, 24 მარტი. „პრავდაში" გამოქვეყნებულია ამხ. კიროვის მისალმება კრასინელებისადმი. მისალმებაში ნათქვამია: „ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალედ ვესალმები სახელოვან „კრასინის" მეთაურებს და ეკიპაჟს, რომლებიც მიდიან ჩელიუსკინელთა, არქტიკის მამაც და უშიშარ მკვლევართა დასახმარებლად. თქვენს გზაზე ბევრი სიძნელეა, მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებს, არასოდეს არ გვაშინებდა ისინი. ჩვენ შეგვიძლია სიძნელეების გადალახვა და სტიქიის დამარცხება ჩვენი საქმის ინტერესებისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კრასინელები სასახელოდ გაართმევენ თავს იმ საპატიო და პასუხისაგებ ამოცანას, რომელიც მათ პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს". (ადს).

საუბარი გემ „სოვეტის" ექსპედიციის უფროსთან

მოსკოვი, 24 მარტი. „პრავდას" სპეციალური კორესპონდენტი ვლადივოსტოკიდან იუწყება, რომ 24 მარტს განთიადიდან გრძელდებოდა გემ „სოვეტის" დატვირთვა. გემის ბაქანზე აღმართულია დირიჟაბლების „ბ—2"-ს და „ბ—4"-ს ლითონის გონდოლები. გემის წინა ნაწილზე მოთავსებულია ბოლოტოვის ორიგინალის თვითმფრინავი.

გემ „სოვეტის" ექსპედიციის უფროსმა ამხ. კრახინსკიმ „პრავდას" კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„როგორც კი დავტვირთავთ აერონავებს, რომლებსაც ამალი? მოვევლით, „სოვეტი" დაიძრება და გაემგზავრება პეტროპავლოვსკისაკენ. აქ ჩვენ განზრახვა გვაქვს ექსპედიციის ყველა მონაწილე გადავიყვანოთ გემ „სმოლენსკზე" და გადავიტანოთ მთელი ტვირთი. პეტროპავლოვსკიდან ექსპედიცია გაემგზავრება ჩრდილოეთისაკენ, ამასთან მას განზრახვა აქვს აღმოსავლეთით შემოუაროს იმ ყინულებს, რომლებიც მოსალოდნელია დაახლოებით ნავარინის კონცხის პარალელზე (ადს).

„სმოლენსკი" გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ

ვლადივოსტოკი, 24 მარტი. გემი „სმოლენსკი", რომელმაც ოლიუტორსკში მიიტანა თვითმფრინავები, გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ (ადს).

ამხ. კამანინის ცნობა

ხაბაროვსკი, 23 მარტი. ანადირიდან იუწყებიან, რომ სამი თვითმფრინავი „პ—5", რომლებიც 21 მარტს ოლიუტორსკიდან გაფრინდენ, დაეშვენ ანადირ-ლიმანში.

საუბრის დროს ესკადრილიის უფროსმა ამხ. კამანინმა განაცხადა:

„ოლიუტორსკიდან გამოფრინდა 5 თვითმფრინავი. 5 საათის შემდეგ ისინი უვნებლად დაეშვენ მაინა-პილგინოში. მოვდიოდით ძლიერი შემხვედრი ქარის დროს საათში 70 კილომეტრის სისწრაფით.

მაინა-პილგინოდან გამოფრინდა 4 თვითმფრინავი (ერთი დარჩა რემონტში და დაიგვიანებს ერთ დღელამეს). სტარტიდან 80 წუთის შემდეგ ერთ-ერთი გამოფრენილი თვითმფრინავი მაინა-პილგინოში დაბრუნდა. ამინდი საერთოდ კარგია.

პალსკის ქედზე გადაფრენის დროს მოვხვდით ღრუბლების ზონაში და ავფრინდით 1500 მეტრის სიმაღლეზე.

23 მარტს, თუ კარგი ამინდი იქნა, ანადირის ქედზე გადავლით გავფრინდებით ვანკარემში, სადაც ლიაპიდევსკი იმყოფება.

მანქანები სრულ წესრიგშია. ეკიპაჟი მხნედაა.

ანადირში ჩამოსულ თვითმფრინავებს მთელი მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა. აეროპლანების მისაღებად თავდაცვავიახიმის მუშაკებმა დროზე მოამზადეს კარგი მოედანი (ადს).

რომანი კოლექტივიზაციის შესახებ

(კონსტ. ლორთქიფანიძე: „ძირს სიმინდის რესპუბლიკა")

ამხ. ქ. ლორთქიფანიძის ეს უკანასკნელი ნაწარმოები თავისი იდეურ-მხატვრული ღირებულებით უსწორდება რუს მწერლების — შოლოხოვის, პანფეროვის და სხვ. საუკეთესო ნაწარმოებთა დონეს და მათთან ერთად ეხმარება გამარჯვებულ მუშათა კლასს ისტორიულ ბრძოლაში სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. რომანი — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" არ შეეხება უკანასკნელ პერიოდს, როდესაც „**მშრომელი გლეხობა, ჩვენი საბჭოთა გლეხობა საბოლოოდ და შემოუბრუნებლად დადგა სოციალიზმის დროშის ქვეშ" (სტალინი).** აქ არის აღებული ის დრო, როდესაც კოლმეურნეობები, როგორც იშვიათი ერთეულები, იწყებდენ ჩამოყალიბებას, როდესაც კულაკები ჯერ კიდევ ფეხმომაგრებული იყვნენ, როდესაც საშუალო გლეხთა ძირითადი მასა კიდევ არ იყო დაჯერებული კოლმეურნეობის უპირატესობაში, მეურნეობის სოციალისტური წესით წარმოების უპირატესობაში.

ქ. ლორთქიფანიძემ ამ პერიოდის შესახებ დასწერა წიგნი, მას არ დაუფარავს იმ დროის მშრომელი გლეხობის მძიმე მდგომარეობა არ შეულამაზებია გლეხ გიორგი ჯიშკარიანის გაჭირვება, იმ ჯიშკარიანის, რომელსაც შვილები მამის მაგიერ „მშია", „მშია"-ს ეძახოდენ, არ მიუჩქმალავს მართა გორდაძის აუტანელი სიღარიბე. მწერალმა მზის სინათლეზე გამოიტანა სოფლის დიდი ნაწილის სილატაკე, „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმი", წვრილ-მესაკუთრული მეურნეობის ჩიხში მოქცევა. მან გვიჩვენა კულაკის ძალა, გამოამჟღავნა საშუალებები, რომლითაც კულაკი თავის გავლენის ქვეშ აქცევდა საშუალო გლეხთა საგრძნობ ნაწილს, ზოგიერთ ღარიბსაც კი. მწერალმა ხათელყო, თუ რით და როგორ ახერხებდენ კულაკები ბრძოლას თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, გამოამჟღავნა სოფლის მშრომელთა მოწინავე ნაწილის სუსტი მხარეები კულაკობასთან ბრძოლაში, ზოგჯერ მათი დამარცხების მიზეზები, ის უდიდესი სიძნელეები, რომლებიც მაშინ გვეღობებოდა სოციალისტური სოფლის შექმნის გზაზე. ყველაფერი ეს იდეური და მხატვრული სიღრმითაა მოცემული „ძირს სიმინდის რესპუბლიკაში", მოცემულია არა ფოტოგრაფიულად. ქ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" პასიურ მოჩრჩილებას კი არ ამტკიცებს, არამედ აქტიურად იბრძვის ახალი სოფლის გამარჯვებისათვის, დაუნდობლად ამხელს ჩვეულებების საშინელ ძალას, მაგრამ ამხელს არა უბრალო აღწერითი წესით, არამედ ებრძვის, ანადგურებს, ამათრახებს წარსულის ამ კოშმარს.

ქ. ლორთქიფანიძემ ამ წიგნში შესძლო ჩვენი სინამდვილის განვითარების დიალექტიკის გაგება. ჩვენი განვითარების პერსპექტივა, რომელიც წითელი ზოლივით მისდევს ამ წიგნს, აუცილებელი გამარჯვების რწმენითაა სავსე. „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" მომავალი დიდი ნაწარმოების პირველი წიგნია. ამ პირველ წიგნში ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი სიძნელეებით, მაგრამ მაინც არსდება სასოფ.-სამეურნეო არტელი, არტელის წევრები ჯერ მცირეა, ბევრ მათგანში კიდევ ძლიერია წვრილ-მესაკუთრული ბუნება. არტელს პირველი მოსავალიც არ მოუწევია. პირველი შეტევისთანავე არტელი კინაღამ გაანადგურეს კულაკებმა. თავისი გავლენის ქვეშ მოქცეულ საშუალო და ღარიბ გლეხთა ერთი ნაწილის ხელებით კულაკებმა კინაღამ დაშალეს არტელი; პირველი წიგნი მთავრდება ისე, რომ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა უმაღლეს დრამატიულ წერტილს აღწევს. სოფელში ტრაქტორი შემოდის, მაგრამ კულაკებმა იციან, რომ ტრაქტორი სიკვდილია მათთვის, ამიტომ ტრაქტორისტ მექის სასიკვდილოდ დასჭრიან. მწერალი ამ წიგნს არ ამთავრებს საბოლოო გამარჯვების ჰიმნით, ის არ ისწრაფვის სოციალიზმის დამკვიდრების ხელოვნურად დაჩქარებისაკენ, არ თხზავს შელამაზებულ, საპლაკატო სურათებს.

მაგრამ პირველი წიგნი მკითხველის მიერ იხურება მომავალი აუცილებელი გამარჯვების გრძნობით, რადგან მწერალი ღრმად გვაჯერებს რომ არტელი გაიმარჯვებს, რომ სოციალიზმის გზა, რომლითაც პარტიას, მუშათა კლასს მიჰყავს მშრომელი გლეხობა, ერთად-ერთი სწორი და ნაცადი გზაა. არტელი გაიმარჯვებს იმიტომ, რომ მისი ენთუზიასტებია სოფლის კომუნისტები— ხაზარაძეები, რომლებიც საბოლოოდ რაზმავენ თავიანთ ირგლივ გაყელეფილ გლეხებს: — ჯიშკარიანებს, ნაფეტვარიძეებს, არტელი გაიმარჯვებს იმიტომ, რომ მისი საქმიანობის პროცესში უკვე იზრდებიან ყოფილი მონებიდან ახალი ადამიანები, კოლექტიური მეურნეობის ისეთი საუკეთესო დამკვრელები, როგორიცაა მექი.

„ძირს სიმინდის რესპუბლიკაში" ავტორის მხატვრული ოსტატობა და იდეური სიმახვილე მთლიანად მიმართულია რომანის მთავარი იდეის (სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა, სოციალისტური საკუთრების განმტკიცება და კერძო საკუთრების მიერ საუკუნეებით დამკვიდრებუ მიერ საუკუნეებით დამკვიდრებულ ყოფასთან, იდეებთან, გრძნობებთან ბრძოლა), — ღრმად და კონკრეტულად გაშლისაკენ. ამ მთავარ იდეაზე დაყრდნობილი ავტორი ანალიზს უკეთებს ცხოვრებას, აქანდაკებს დიდ სოციალურ სახეებს, კონკრეტულ ტიპებს, დამაჯერებლად მოგვითხრობს თუ რით ცხოვრობენ, საითკენ მიისწრაფიან, რას განიცდიან, როგორ იტანჯებიან და რა უხარიათ სოფლის სხვადასხვა ფენებს.

„ძირს სიმინდის რესპუბლიკაში" უმთავრესად ორი ძალა მოქმედობს, რომელთა შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლაა. ეს ძალებია, ერთი მხრივ სოფლის კომუნისტები და მათ ირგვლივ დარაზმული მშრომელი, გლეხობა ,და ,მეორეს მხრივ, კულაკები და მათი აგენტები. ამის მიხედვით აქ სხვადასხვა ბანაკია. ერთის მხრივ კომუნისტი გლეხი ტარასი ხაზარაძე, ღარიბები გიორგი ჯიშკარიანი, ნაფეტვარიძე, ტულუში, უშვერიძე, მოჯამაგირე მექი, კომკავშირელი ბაჭუ და სხვ., მეორეს მხრივ ბობოლა ბარნაბა საგანელიძე, ბობოლა—მიკიტანი ერემო პიტახია, მათი დამქაშები —ღარიბი დახუნდარა, კოკინია კვერნაძე და სხვ., აღმასკომის გადაგვარებული თავმჯდომარე „კომუნისტი" ტუჩა დაშნიანიც ფაქტიურად ამ ბობოლებს ეხმარება. მერყევი საშუალო გლეხი ჯიბუტი მარგველაძე—ბობოლა ბარნაბასაკენ იხრება. აქ მძაფრი ბრძოლა წარმოებს მშრომელი გლეხობის მასისათვის. ამ მასაში რთული სოციალური ხლართებია. კულაკობა ზოგჯერ ახერხებს მისი ნაწილის მოტყუებას ამა თუ იმ საკითხში; მაგრამ საერთოდ მშრომელი გლეხობა სრულებითაც არაა სოციალიზმისათვის მებრძოლთა ბანაკის მტერი .საჭიროა მხოლოდ მათთან მუშაობა, კულაკობისათვის ნიადაგის გამოცლა, ამ მასის დაპყრობა, ამ საფუძველზე იშლება ბრძოლა.

გლეხობა აქ არაა მოცემული როგორც ერთი ინტერესების, ერთი სოციალური სწრაფვის მქონე მთლიანი მასა. წიგნში ვხედავთ მკვეთრ კლასობრივ დიფერენციაციას, რომანის ყველა ტიპი ამა თუ იმ კლასის წარმომადგენელი ცოცხალი ადამიანია, მათი ბუნება კლასობრივია, მოქმედება საკუთარი კლასის ინტერესებითაა გამსჭვალული. მწერლის დიდი მხატვრული გამარჯვება იმაშია, რომ ეს ტიპები ამა თუ იმ კლასის ზოგადი და ზერელე სიმბოლოები კი არ არიან, არამედ ორგანიულად ტიპიური და ამავე დროს საკუთარი ინდივიდუალობის მქონენიც. არიან. აი ბარნაბა საგანელიძე. ის მშრომელთა სისხლის მსმელი ბობოლაა. მაგრამ ამ ბობოლას ტიპიურ კლასობრივ სახესთან ერთად, საკუთარი ინდივიდუალური სახეც აქვს, აქ მთლიანობაა. ბობოლა მიკიტანი ერემო პიტახია განსხვავდება ბარნაბასაგან, მაგრამ, ცხადია, ეს განსხვავება არსებით, სოციალურ ბუნებას არ შეეხება. ბარნაბა საგანელიძე კლასობრივი მტერია; მაგრამ მტერი ჭკვიანი, მოხერხებული და მით უფრო საშიში. მწერალი, რომელმაც იცის ბარნაბას ძალა, საქმეს არ იადვილებს—ბარნაბას კულაკური სიბოროტის ზოგადი მოხაზვით. მწერალი დაუნდობლად გლეჯს ბობოლას ნიღაბს და გვიჩვენებს მის ნამდვილ მგლის კბილებს. მესაკუთრე ბობოლა სოციალიზმს არ შეეზრდება. ბარნაბების შეზღუდვა თანამიმდევრად ხორციელდება. შევიწროებული ბარნაბა გრძნობს კლასობრივი სიკვდილის მოახლოვებას და ბრძოლის საშუალებათა მთელ არსენალს აამოძრავებს. ქ. ლორთქიფანიძე კულაკურ არსენალის შესანიშნავ, მახვილ ცოდნას ამჟღავნებს. ბარნაბა, ერემო პიტახიაზე უფრო ჭკვიანია. ის ხელმძღვანელობს პიტახიას და აი, კულაკები საერთო ფრონტით შეტევაზე გადადიან. ჭორი და პროვოკაცია, გლეხობის მესაკუთრულ გრძნობებით, სოფლის ჩამორჩენილ ფენათა განწყობილება, ყველაფერი ეს კულაკთა ბრძოლის იარაღია. როდესაც ამ იარაღით საბოლოო მიზანს მაინც ვერ აღწევენ, კულაკები ტყვიასაც მიმართავენ. ამ ბრძოლაში ბარნაბა საგანელიძეს კერძო საკუთრებისადმი გლეხის სიყვარულის იმედი აქვს. ამიტომ ამბობს იგი ასე დაჯერებით: „სანამ გლეხი—გლეხია, თქვენ მე ფუძეს ვერ მომირყევთ, გლეხებს ვერ გადამკიდებთ. გლეხი თქვენს გაზეთში თუთუნს ახვევს და ჩემისთანა ცხოვრების მოწყობას ნატრულობს. იგი მე მომყვება, მე... სად გაგონილა, გლეხ კაცს თავის სალოცავი ხატი დაემტვრიოს. ჩემი გზა ყველა გლეხის გზაა და შუაში მესამე ნუ ჩაგვედგება".

ბარნაბამ თავისი სასურველი გამარჯვების ფუძეს სწორად მიაგნო. მაგრამ ანგარიშში მაინც მოტყუვდა. სანამ გლეხი-გლეხია, ე. ი. წვრილი მესაკუთრეა, ბარნაბას არ ეშინია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პროლეტარულმა რევოლუციამ დასვა გლეხის ბუნების გარდაქმნის საკითხი, მისი სოციალისტურ მუშაკად გადაქცევის ამოცანა, რაც უკანასკნელ წლებში თანმიმდევრად ხორციელდება, მკვიდრდება რა საზოგადოებრივი საკუთრება, კოლექტიური მეურნეობა. სატურის ჭალაში გაშლილი ახლად დაარსებულ არტელის მინდვრების პირველი კოლექტიური მოხვნიდან იწყება ბარნაბას და ერემო პიტახიას საბოლოო დაღუპვა და ამიტომ გაამძაფრეს მათ ბრძოლა. ამ ბრძოლაში ისინი გლეხის ძველ ბუნებას ეყრდნობიან, მასში ეძებენ მოკავშირეს და ზოგჯერ ნახულობენ კიდეც, კერძოდ საშუალო გლეხთა შორის.

ქ. ლორთქიფანიძე ღრმად ჩაწვდა ასეთი საშუალო გლეხის ბუნებას. მარგველაძის სახით მან ფრიად საინტერესო და მკვეთრი ტიპი შექმნა. მწერალმა ამ წვრილ მესაკუთრის ოცნება და მისი ფაქტიური შესაძლებლობანი გამოამჟღავნა და დიდ სოციალურ სასწორზე დასდო. მარგველაძემ საკუთარი წინსვლის მხოლოდ ერთი გზა — საგანელიძის გზა იცის და იქეთკენ მიისწრაფვის, მაგრამ ჩნდება მეორე გზა—არტელური. ახლა მარგველაძე ამასაც მიაწყდება. მას უნდა არ გამორჩეს ახალ დიდი წამოწყებას. ეგებ გამოსავალი აქ იყოსო, მაგრამ მას ჯერ არ სჯერა არტელის, არ უნახავს მისი საქმეები, მას უნდა დაჯერება, მაგალითი, ისე ვერ ბედავს და უკანვე გარბის. მწერალმა ზუსტად და კარგად მოხაზა მარგველაძისთანა საშუალო გლეხის მერყეობა, ამის მიზეზები, მისი როლი მწვავე კლასობრივ ბრძოლაში კოლმეურნეობებისათვის.

მარგველაძე სოციალიზმის მტერი არაა. ადრე თუ გვიან მარგველაძეები არტელში შევლენ, საჭიროა მათი დაჯერება. ამიტომ გაიძახის მარგველაძე — მოვითმინოთ, ვნახოთ, არტელიდან რა გამოვა, ხვალ მის მერყეობას საზღვარი დაედება. არტელის ხელმძღვანელმა ტარასი ხაზარაძემ ეს იცის და სწორ დასკვნას აკეთებს: „მარგველაძის ჯანჯლობა მაშინ დასრულდება, როცა ჩვენი არტელი პირველ მოსავალს მოიწევს. მაშინ გადაწყვეტს საით სჯობია მისთვის, ჩვენთან მოსვლა, თუ ბარნაბას გაყოლა, რომელსაც იგი თავის ხვალეს ეძახის".

ქ. ლორთქიფანიძემ „ძირს სიმინდის რესპუბლიკაში" მოგვცა იმ მებრძოლთა სახეები, რომელნიც ქმნიან სოციალისტურ სოფელს, რომელნიც არიან არტელის ინიციატორები და მისი განმტკიცების ენთუზიასტები, მწერალმა დახატა და ქართულ საბჭოთა მწერლობას შემატა სინამდვილის დამახასიათებელი ახალი, ცოცხალი, დადებითი ტიპები. ასეთია მაგალითად ბოლშევიკი ტარასი ხაზარაძე. ტარასი უსწავლელი გლეხია. ის ჯერ კიდევ გუშინ მოჯამაგირე იყო. დღეს სოფლად პარტიის პოლიტიკის ჭკვიანი გამტარებელია. ტარასი გლეხობის ქვაბშია მოხარშული, შეუცდომლად გამოიცნობს ხოლმე გლეხის თვითეულ სწრაფვას, მესაკუთრულ მიდრეკილებას. გლეხის სული მისთვის ხელისგულივითი ნაცნობია. სოფლის საუკეთესო ბოლშევიკი ტარასი ხაზარაძე თავდადებულად მუშაობს საზოგადოებრივ საკუთრების განმტკიცებისათვის, თავს უყრის ღარიბ, მშრომელ გლეხობას. ტარასი არტელს შექმნის, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია. მთავარი წინაა. ტარასი გასაოცარი მოთმინებით, სიჯიუტით, თანმიმდევრობით მუშაობს გლეხობის კერძო მესაკუთრული ბუნების გარდასაქმნელად. ჯიშკარიანების, უშვერიძეების მისაზიდად არტელში; მაგრამ სიძნელეები არტელშიაც იჩენს თავს. ჯიშკარიანების და უშვერიძეების წვრილმესაკუთრული ბუნება არტელშიაც ერთბაშად არ გარდაქმნილა. მათ შეგნებაში კიდევ ბატონობს „ეს ჩემია", ჩემი ხარები, ჩემი მიწის ნაჭერი — აი ამ კითხვების ირგვლივ იმართება ბრძოლა არტელში გიორგი ჯიშკარიანსა და ტულუში უშვერიძის მიერ. „ძირს სიმინდის რესპუბლიკას" მხატვრული და იდეური ღირსება ისაა, რომ იგი არ ჩქმალავს არტელის განმტკიცების სიძნელეებს, მის წევრთა წვრილ-მესაკუთრულ ბუნებას. მწერალი ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს ამ ძველს, გლეხურს, წვრილ მესაკუთრულს და გვიჩვენებს თანდათანობითი მისი დაძლევის სურათს. ეს კი ხდება სოციალისტური პრაქტიკის, ახალის განმტკიცებისათვის მუშაობის პროცესში.

ათასების და მილიონების სოციალისტურ პრაქტიკაში იქმნებიან, იბადებიან და იზრდებიან ახალი ადამიანები. „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" ასეთი ახალი ადამიანების დაბადებას და ზრდას გვიჩვენებს. ასეთი ადამიანის დაბადების და ზრდის შესანიშნავი სახე მოცემულია ამ რომანში მექის სახით. მექი გუშინ ნამდვილი უსახო მონა იყო. ის მშრომელი ცხოველის მდგომარეობამდე იყო დაყვანილი, ისეთი ცხოველის, რომელიც ათვალისწინებულია, რომელსაც წამდაუწუმ სცემენ, დღე და ღამ ამუშავებენ, მას სახელიც დაუკარგეს, ზედმეტი სახელი მიაკერეს, ხრიკუნიად „გადანათლეს". „ზედმეტი სახელი მექისათვის ცოცხალი საფლავი იყო, სადაც მხოლოდ ბალღების სიძულვილი, ტოლების უკადრისობა და უფროსების დაცინვა ყვაოდენ". არტელმა მექი ბობოლების კლანჭებს გამოგლიჯა. მან შეიგნო თავის ინტერესები, მონახა თავისი კლასობრივი ფრონტი, არტელში დამკვრელი გახდა. პირველ ხანებში მექი ისევ მონურად, ნამალევად ყლაპავს ლუკმებს, მაგრამ სულ მალე კომკავშირის გულთბილი მოპყრობა, ტარასი ხაზარაძის მზრუნველობა გაალღობს მის ირგვლივ ყინულს. არტელში იწყება მისი ადამიანური ღირსების გაფურჩქვნა და აყვავება. სოფლად სოციალიზმის საფუძვლების მტკიცედ ჩაყრამ გამოაღვიძა და მაღალ ადამიანურ ღირსებებით აღჭურვა ათასეული მექები. ქ. ლორთქიფანიძემ ეს პროცესი მაღალ მხატვრულ სახეში ჩამოაყალიბა. რომანის დასასრულს მექის დასჭრიან სიკვდილის განზრახვით, მაგრამ მისი მოკვლა შეუძლებელია, მკითხველი, რომელიც მექის ღრმა სიყვარულითაა გამსჭვალული გრძნობს, რომ შემდეგ წიგნებში ავტორი მოგვითხრობს იმ გმირულ საქმეზე, რომელთა შესასრულებლად მექი და სხვა ათასეული მექები მოწოდებულნი პარტიისა და მუშათა კლასის მიერ.

„ძირს სიმინდის რესპუბლიკას" რეალისტური სისავსით მოაქვს ახალი ცხოვრების მდიდარი მასალა, რომელიც დამუშავებულია ბოლშევიკ მწერლის ოსტატური ხელით. ამ რომანში არაა ნატურალიზმი, არამედ მოცემულია სინამდვილის მთავარი არსებითი, დამახასიათებელი მხარეები. თვითეული ყოფაცხოვრებითი ფსიქოლოგიური დეტალი, მოცემულია არსებითის, მთავარის დასახასიათებლად, მის ასახსნელად.

მიუხედავად ამ წარმატებისა, „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" არ არის უნაკლო ნაწარმოები. ძირითად ნაკლთა შორის უნდა მივუთითოთ შემდეგზე: რომანში არ ჩანს სოფლის კავშირი ქალაქთან, არ არის ნაჩვენები მუშათა კლასის კონკრეტული ხელმძღვანელობა გლეხობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, რაც მნიშვნელოვანი და არსებითი ნაკლია. ამასთან, არაა მოცემული სოფლის პარტიული ორგანიზაცია (მარტო ტარასი ხაზარაძე არ წარმოადგენს პარტიულ ორგანიზაციას), რომელიც სათავეში უნდა უდგეს და კოლმეურნეობისათვის ბრძოლაში ხელმძღვანელობდეს ღარიბ და საშუალო გლეხობას. სოფლის კომუნისტებიდან ტარასი ხაზარაძის გარდა რომანში ვერავის ვხედავთ; ტარასი საერთოდ სწორი და კარგად მოცემული ტიპია, მაგრამ მისი დახატვის დროს გრძნობთ ავტორის ჭარბ რაციონალიზმს მხატვრული სისავსის ხარჯზე. რომანში აგრეთვე ქალები წარმოდგენილია, როგორც მთლიანად ბნელი მასა, რაც არაა სწორი. ადგილი აქვს ერთგვარ სქემატიზმს ზოგიერთ ტიპის მოხაზვაში (მაგ. აღმასკომის თავმჯდომარე ტუჩა დაშნიანი). ყველაფერი ეს ამ წიგნის მნიშვნელოვანი ნაკლია, მაგრამ ისეთი ნაკლი, რომლის დაძლევა ავტორს შეუძლია და უნდა დასძლიოს და გამოასწოროს კიდეც.

„ძირს სიმინდის რესპუბლიკას" ენა, საერთოდ სტილი, დახვეწილია, მზრუნველად დამუშავებულია. ქ. ლორთქიფანიძე კლასიკურ ენას და ხალხურ ენას ორგანიულად ათავსებს. ნაწარმოებში ადგილი აქვს ცალკეულ შეცდომებს ენის მხრივ, მაგრამ არსებითი ის არის, რომ რომანი დაწერილია მარტივი, ფართო მასისათვის გასაგები ენით, ენის უბრალოება სრულებითაც არ მიდის მხატვრობის ხარისხის დამცირების ხარჯზე, ეს კი მწერლის გამარჯვებაა.,

ქ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, იგი პროლეტარულ და საერთოდ საბჭოთა მწერლების პირველ რიგებში იკავებს თვალსაჩინო ადგილს, როგორც საბჭოთა მწერლობის მორიგი გამარჯვება.

გ. ბუაჩიძე.

იაპონია-ამერიკის ურთიერთობა

ტოკიო, 22 მარტი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გამოვიდა განცხადებით „იუნაიტედ პრესის" მიერ ვაშინგტონიდან გადმოცემული ამ ცნობის შესახებ, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „ხიროტამ დაავალა საიტოს (იაპონიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში) მიაღწიოს ანტიიაპონური საიმიგრაციო კანონის გაუქმებას, ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ მანჯოუგოს ცნობას, ამერიკის მიერ ფილიპინის კუნძულებზე სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობაზე უარის თქმას. ამის სამაგიეროდ იაპონია ხელს აიღებს საზღვაო მშენებლობაში თანასწორობის მოთხოვნაზე".

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ იაპონიის მთავრობას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხებზე. რაც შეეხება მანჯოუგოს ცნობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის აზრით, „რამდენადაც უფრო ცდილობს იაპონია მიაღწიოს მანჯოუგოს ცნობას, იმდენად უფრო ნაკლები იმედია, რომ სახელმწიფოები იცნობენ მანჯოუგოს".

საზღვაო შეიარაღების საკითხზე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა საკმარისად ცხადად აღნიშნა, რომ „ხიროტა ოსუმის (საზღვაო მინისტრი) არაერთხელ განუცხადებია, რომ იაპონიას არ აკმაყოფილებს საზღვაო შეიარაღების ახლანდელი ქვოტა". (ადს).

ვაშინგტონი, 22 მარტი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელლმა განაცხადა, რომ იაპონია - ამერიკის პრობლემების სფეროში არ არის მოსალოდნელი და განზრახული არავითარი დიპლომატიური მოქმედება. მისი სიტყვით, ყველაფერი, რაც ამას შეეხება, ნათქვამია წერილებში, რომლებითაც მან და ხელლმა მიმართეს ერთმანეთს. საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა წარმომადგენლები უარყოფენ, რომ იაპონიამ ან შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს წინადადება „წყნარი ოკეანის კონფერენციის" მოწვევის ან სხვა რამე მოლაპარაკების შესახებ. (ადს)

იაპონიის საზღვაო სამინისტროს კომუნიკე

ტოკიო, 23 მარტი, საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიაც კატეგორიულად აბათილებს ცნობას, რომ იაპონია, მანჯოუგოს ცნობისა და ფილიპინებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შემთხვევაში, დათანხმდება საზღვაო შეიარაღებათა ამჟამად არსებულ ქვოტას. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „იაპონიის ფლოტის გადაწყვეტილება მოითხოვოს ახლანდელი ქვოტის გადასინჯვა უცვლელი რჩება".

გაზეთები აღნიშნავენ, საზღვაო წრეებში არ აპირებენ განსაკუთრებულად გაუკეთონ კომენტარიები სვენსონის უკანასკნელ განცხადებას, რომ „ამერიკის ფლოტი მოითხოვს საზღვაო შეიარაღებათა განსაზღვრას, ვინაიდან ფიქრობენ, რომ იაპონიის ფლოტის შეხედულებანი ამ საკითხზე ცნობილია და სრულიად არ ეთანხმება სვენსონის შეხედულებებს".

„იომიური" და „ძი-ძი" აღნიშნავენ, რომ თუმცა საზღვაო სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთსულოვნებას იჩენენ და ცდილობენ მიაღწიონ არსებული ქვოტების გაუქმებას, მაგრამ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, თუ რა წესით უნდა გატარდეს დიპლომატიური ზომები ამ მიზნის განსახორციელებლად.

გადაწყვეტილია მხოლოდ, — წერს გაზეთი, — რომ იაპონიამ 1935 წლის საზღვაო კონფერენციის მოწვევამდე უნდა დაიწყოს წინასწარი მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან.

„ძი-ძის" სიტყვით, მაცუდაირას და საიტოს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მისცა წინადადება მოშინჯოს ნიადაგი ლონდონსა და ვაშინგტონში საზღვაო ქვოტების საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტის შესაძლებლობათა შესახებ. „პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის მრავალის წესით,—წერს გაზეთი,—საზღვაო და სამხედრო სამინისტროების, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები არკვევენ შემდეგ საკითხებს, რომლებიც, მათი აზრით, დაკავშირებულია საზღვაო შეიარაღებათა საკითხთან:

1) პაქტის დადება იაპონია-ამერიკას შორის არბიტრაჟის შესახებ.
2) ნეიტრალური ზონის დაწესება წყნარ ოკეანეზე.
3) გაფართოება შეთანხმებისა წყნარი ოკეანის გამაგრების შესახებ.
4) საზღვაო და სამხედრო ბაზრების გაუქმება ფილიპინებზე და შეთანხმების დადება ფილიპინების დამოუკიდებლობის და ნეიტრალობის გარანტიების შესახებ.
5) „ღია კარების და თანაბარ შესაძლებლობათა" პრინციპი შორეულ აღმოსავლეთში.

გაზეთი განაგრძობს, რომ იაპონიის ხელისუფალთ აუცილებლად მიაჩნიათ აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას „მთელ მსოფლიოს მიერ იაპონიის აღიარება სტაბილიზებულ ქვეყნად აღმოსავლეთში" და ამ პრინციპით იხელმძღვანელონ „ყველა საკითხების გადაწყვეტისას".

„იომიური" დასძენს, რომ საზღვაო ხელისუფლებას აუცილებლად მიაჩნია მიაღწიოს, წყნარ ოკეანეში ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიის ფლოტის ყოფნის აკრძალვას.

გაზეთ „ძი-ძის" და „იომიურის" ინფორმაციიდან აუტენტიურობა გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ გაზეთ „ნიცინიცის" დღევანდელ ცნობას. იგი აღნიშნავს, რომ საზღვაო სამინისტრომ ამ ცნობის წინით გადაწყვიტა „უფრო მკაცრი კონტროლი გაუწიოს" პრესის ინფორმაციას საზღვაო პოლიტიკაზე საერთოდ, აგრეთვე ყველა საკითხზე, რომლებიც კი ფლოტს ეხება, და არ დაუშვას, რომ გამოქვეყნდეს „რაიმე ისეთი ცნობა, რომელიც საზღვაო სამინისტროს შეხედულებებს ეწინააღმდეგება". საზღვაო სამინისტრო,—წერს გაზეთი, — შემდგომ საერთოდ შეზღუდავს საზღვაო სამინისტროს წარმომადგენლის ოფიციალურ განცხადებათა გამოქვეყნებას იმ ანგარიშით, რომ ოფიციალური განცხადებანი გამოქვეყნდეს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად განხილვის შემდეგ და „მას შემდეგ, როცა გულდასმით იქნება შესწავლილი ასეთ განცხადებათა შესაძლებელი შედეგები საზღვარგარეთ".

დარბაზობა საბჭ. კავშირის ლონდონის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

ლონდონი, 24 მარტი. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა პირველი დარბაზობა ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ. სტუმრებს შორის იყვნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი **საიმონი**, საგარეო საქმეთა მინისტრის შორის მუდმივი ამხანაგ **ვანსიტარტი**, საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის მეთაური **კოლვილი**, საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროების უფროსი მოხელეები სამთო მრეწველობის მინისტრი **ბროუნი** და დიპლომატიური კორპუსის ბევრი წარმომადგენელი. დაესწრნენ აგრეთვე ლორდთა პალატის მთელი რიგი წევრები, თემთა პალატის კონსერვატორ დეპუტატთა ჯგუფი, მათ შორის **ბუტბი** და **მაკ-მილანი** ლიბერალები **სემუელი** და მაიორი **ლლოიდ-ჯორჯი**, მრეწველი **ფერი ხედფილდი**, „მეტროპოლიტენ ვიკერის" წარმომადგენელი **პოლი**, რეიტერის სააგენტოს დირექტორი **ჯონსი**, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის პროფესორი **ლასკი**, განთქმული კარიკატურისტი **ლოუ** და სხვ. დემონსტრირებული იქნა კინო-ფილმი ოქტომბრის 16 წლისთავზე წითელი არმიის პარადის შესახებ და აგრეთვე კინო-ფილმი „სიბირიაკოვის" ლაშქრობაზე (ადს).

სტავისკის აფიორაში მონაწილეობას იღებენ ინგლისელებიც

ლონდონი, 22 მარტი. „დეილი ერალდი" იუწყება, რომ სტავისკის საქმეში ჩარეულია ბრიტანეთის მთელი რიგი ცნობილი თვალსაჩინო მოღვაწეები და რომ ბრიტანეთის ოხრანკამ დაამთავრა ამ საკითხთან დაკავშირებული მასალის განხილვა. ამ ერთი კვირის წინათ ლონდონში ჩამოვიდნენ საფრანგეთის [illegible] წარმომადგენლები და წარადგინეს მასალები, რომლებიც ადასტურებენ წარჩინებულ ინგლისელთა მონაწილეობას სტავისკის საქმეში. ამის შემდეგ ოხრანკის მეთაური კინინგი ჩავიდა პარიზში. ახლა იგი უკვე დაბრუნდა და საუბარი ექნება შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან კვლევა - ძიების შედეგებზე. (ადს).

საფრანგეთის ფაშისტები იბრძვიან ხელისუფლებისათვის

ყოფილ ფრონტელთა ორგანიზაციის ნაციონალური საბჭოს სესია

პარიზი, 24 მარტი. გუშინ გაიხსნა ყოფილ ფრონტელთა ორგანიზაციის ნაციონალური საბჭოს სესია. ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობას უწევენ ფაშისტური ელემენტები. მაგრამ ამ ორგანიზაციაში შედის მრავალი ყოფილი ჯარისკაცი, რომლებიც არ თანაუგრძნობენ ხელმძღვანელობის გეგმებს და მოქმედებას. ნაციონალური საბჭოს ახლანდელი სესია წარმოადგენს ყოფილ ფრონტელთა მასებს შორის გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლის ასპარეზს. ხელმძღვანელობა შეეცადა ეტოლებინა ორგანიზაცია მთლიანად დამდგარიყო აშკარად ფაშისტურ გზაზე. სესიაზე წარმოდგენილ იქნა აშკარად ფაშისტური ხასიათის რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა ორგანიზაციის წევრებს იარაღი და ავტოტრანსპორტი მიეცეს და დამყარებულ იქნას კავშირი ნამდვილი სამსახურის ოფიცრებთან. ბოლოს, რეზოლუცია შეიცავდა წინადადების მთავრობის დაწესებულებების, ტელეგრაფის, ფოსტის და სხვ. ხელში ჩაგდების შესახებ ფაშისტურ გადატრიალების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ დელეგატების უმრავლესობა შესდგებოდა ყოფილი ოფიცრებისა და რეაქციული ელემენტებისაგან, სესიამ, გაითვალისწინა რა ფრონტელთა ფართო ფენების განწყობილება, რომლებსაც ასეთი აშკარა ფაშისტური რეზოლუცია ჩამოაშორებდა ორგანიზაციას, უარყო რეზოლუცია მიღებულ იქნა მეორე რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრონტელთა ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს თავისი „პოლიტიკური ნეიტრალობა". (ადს).

სადგ. ტფილისის კლიენტურის თათბირი „კომუნისტის" რედაქციაში

გუშინ, გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში შესდგა ტფილისის რკინის გზის სადგურის კლიენტების თათბირი სადგურის მუშაკებთან ერთად.

თათბირმა მოისმინა სადგ. ტფილისის უფროსის ამხ. **გ. ხუნდაძის** ინფორმაცია კლიენტურის მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ ცხოველ კამათში მონაწილეობა მიიღო თათბირზე მოწვეულმა თითქმის ყველა სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენელმა: თათბირზე აღნიშნული იყო ყველა ნაკლი, რომელიც ახასიათებს, როგორც სადგურს, ისე მისი კლიენტების მუშაობას.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები ამ ნაკლთა გამოსასწორებლად და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ისე გარდასაქმნელად, რომ მათ აქტიურად შეუწყონ ხელი რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის საბოლოო გაჯანსაღებას. თათბირის დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება „კომუნისტის" ხვალინდელ ნომერში.

მთავრდება რიონჰესის მეოთხე აგრეგატის მონტაჟი

ქუთაისი, 25 მარტი. რიონჰესის ამუშავებული სამი აგრეგატი—12.500 კილოვატის სიმძლავრით თვითეული, უნაკლოდ მუშაობს. აგრეგატებმა გვიჩვენეს როგორც მონტაჟის, ისე საბჭოთა ქარხნებში დამზადებული მოწყობილობის მაღალი ხარისხი.

რიონჰესის სამმა აგრეგატმა საქართველოს სოციალისტურ მრეწველობას უკვე მისცა 15 მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ენერგია.

ამჟამად რიონჰესის სამონტაჟო კოლექტივი რიონჰესზე მყოფ ბრიგადებთან — ლენინგრადის სტალინის სახელობის მეტალიკური ქარხნის და ქარხანა „ელექტროსილას" ბრიგადებთან ერთად გაძლიერებული წესით აწარმოებს მეოთხე აგრეგატის მონტაჟს. სამონტაჟო სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება. მთლიანად დამონტაჟებულია ტურბინა, გენერატორი და ავტომატ-რეგულატორი. ელექტრო-ნაწილის ძირითადად დამონტაჟებულია პულტი, საცავების [illegible]. დამთავრდა კაბელების დაგება და სხვ. აგრეგატის ასამუშავებლად დარჩა, გენერატორის ლილვის დაცენტრება, მცირე და მთავარი აღმგზნების დადგმა, კაბელების აწყობა და შეერთება. ლილვის დაცენტრება უკვე დაიწყო 23 მარტს, ეს მუშაობა დაახლოებით 4 დღეს გაგრძელდება.

როგორც რიონჰესის მშენებლობის უფროსი ამხ. **ჟიჟია** აცხადებს, უკანასკნელი (მეოთხე) აგრეგატის მონტაჟი წარმოებს ისეთი ტემპებით რომ ამუშავდეს იგი აპრილის პირველ რიცხვებში, ხოლო სამრეწველო დენი მიღებულ იქნას სადგურის საზეიმო გახსნის დღისათვის—1-2 მაისისათვის (ადს).

ქრონიკა

— **1500 საწოლი დაზღვეულთათვის—საქ. კურორტებზე.** კურორტებზე გასაგზავნ დაზღვეულ ავადმყოფთათვის მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს კურორტებზე, საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ კურორტებისა და დასასვენებელი სახლების სამმართველოს განკარგულებაში გამოყოფილია 1500 საწოლი.

— **მე-97 შრომის სკოლის გაფართოება.** ტფილისის საბჭომ ნებადართო ტფ. განათლების განყოფილებას შეუდგეს მე-97 შრ. სკოლის შენობაზე მესამე სართულის დაშენებას.

— **ბავშვების საქალაქო სპარტაკიადა.** მაისის განმავლობაში ტფილისში ჩატარდება სკოლებში მოსწავლე ბავშვთა ფიზკულტურული სპარტაკიადა.

— **80 ახალი ტექნიკოსის გამოშვება.** 15 მარტს ტფილისის სამიწათმოქმედო ტექნიკუმმა მოახდინა სკოლაში კურსდამთავრებულთა გამოშვება. გამოშვებულ იქნა 80 წითელი ტექნიკოსი სამიწათმომწყობო, ტოპოგრაფიული, ჰიდრო და მეტეოროლოგიური განხრით. კურსდამთავრებულნი უკვე განაწილებული არიან რაიონების მიხედვით.

— **წითელარმიელთა ოჯახების წევრთა საერთო კრება.** 28 მარტს, საღამოს 6-ნახ. საათზე ტფილისის წითელი არმიის სახლში (რუსთაველის პროსპ. № 10) მოწვეულია ტფილისის საბჭოს სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში აღრიცხვაზე მყოფი წითელარმიელთა ოჯახის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგშია წითელარმიელთა და მათი ოჯახების შეღავათებზე პარტიის და ხელისუფლების დადგენილებების განხორციელება. მომხსენებელი საქ. პროკურორი ამხ. ჰანტურიშვილი. კრების შემდეგ კონსულტაცია და კონცერტი.

— **მხატვართა კავშირის საგამოფენო შენობაში** 27 მარტს, საღამოს 9 საათზე შესდგება მხატვართა საერთო კრება საქართველოს საბჭოთა სახვითი ხელოვნების საანგარიშო გამოფენის გახსნის საკითხზე.

— **პროფ. როზენბერგის მოხსენება.** 26 მარტს, საღამოს 8 ნახ. საათზე ქიმკორპუსში (კამოს ქ. № 34) ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალურ ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანიული ქიმიის კათედრის საჯარო სხდომაზე საქ. მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის თეორეტიული განყოფილების ხელმძღვანელი **პროფ. მ. ა. როზენბერგი** გააკეთებს მოხსენებას: „**არაორგანული ქიმიის კურსის აგების პრინციპი**".

ტფილისი

ტრამვაის ქსელის სარეკონსტრუქციო სამუშაოები

კახეთის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე ტრამვაის ფართო ლიანდაგიანი ხაზი გაყვანილი იქნება 300 არაგველის დაღმართით, ხოლო შემდეგ ეს ხაზი, ფეხსაცმელის 1-ლ ფაბრიკასთან, შეუერთდება მე-6 მარშრუტის ხაზს. 300 არაგველის ხიდამდე ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა ძირითადად უკვე დამთავრებულია. აპრილიდან დაიწყება მე-6 მარშრუტის ტრამვაის ხაზის გადაკეთება ფართოლიანდაგიან ხაზად. ყველა ეს სამუშაო უნდა შესრულდეს 1-ლ ივლისამდე. ამავე რიცხვიდან დაიწყება ფართო ლიანდაგიანი ტრამვაის ვაგონების მოძრაობა ამ ხაზზე.

პირველ ხანებში კახეთის მოედანსა და თავისუფლების მოედანს შუა იმოძრავებს 12 ახალი ვაგონი. ახალი ხაზის გაყვანა კახეთის მოედნიდან 300 არაგველის ხიდამდე და შემდეგ მე-6 მარშრუტის ხაზის გადაკეთება თავისუფლების მოედნამდე 1.700.000 მანეთად ჯდება.

შინარესურსების მობილიზაციის შედეგად, ტრამვაის ხაზზე გამომუშავებულია 20 ზედმეტი ვაგონი.

წარსულ წელს ტფილისში ყოველდღიურად უშვებდენ ხაზზე 130 — 132 ვაგონს, ახლად შეკეთებული ვაგონები, რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლათ ზიანდებოდენ და კვლავ სარემონტოდ დგებოდენ პარკში. წელს ტრამვაის დირექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვაგონების შეკეთების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატება: ხაზზე გაშვებული ვაგონების გაფუჭების შემთხვევები გასულ წელთან შედარებით თებერვალ - მარტში (მარტის 2 დეკადა) 40 პროც. შემცირდა.

გარდა ამისა, ტრამვაის დირექციამ საკუთარი შინარესურსების მობილიზაციის საშუალებით შესძლო ძველი ვაგონების ნაწილის აღდგენა და მათი ხაზზე გაშვება. ამჟამად, გარდა ახლად მიღებული ფართოლიანდაგიანი ტრამვაის 12 ვაგონისა, ხაზზე ყოველდღიურად მუშაობს 150 ვაგონი.

26 მარტი — საბჭოს დღე

დღეს, ტფილისის ყველა წარმოება და დაწესებულებებში ჩატარებული იქნება ადგილობრივი სადეპუტატო ჯგუფების პლენუმები. პლენუმზე სადეპუტატო ჯგუფებმა უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები: — საბინაო გადასახადის სწორად გამოანგარიშება, ფულადი სახსრების მობილიზაციის მიმდინარეობა, ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგება და ამ საქმეში დეპუტატთა მასების მონაწილეობა, მეეზოვეთა კონკურსის ჩატარება და სხ.

სადეპუტატო ჯგუფების პლენუმებზე მოწვეული იქნებიან საწარმოთა საუკეთესო დამკვრელები.

კონკურსი ტექპროპაგანდის საქმის უკეთ დაყენებაზე

საქ. მსუბუქი მრეწველობისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებს გადაწყვეტილი აქვთ 1-ლი აპრილიდან 1-ლ ივნისამდე ჩაატარონ კონკურსი ტექპროპაგანდის საქმის უკეთ დაყენებაზე. კონკურსში უნდა ჩაებას მსუბუქი მრეწველობისა და მომარაგების სახ. კომისარიატის ქვემდებარე ყველა საწარმო.

კონკურსის სახელმძღვანელოდ გამოყოფილი იქნება გაერთიანებული კომისია.

წითელარმიელთა ოჯახების საჩივართა განხილვის ერთთვიური

იუსტიციის სახალხო კომისარიატი, საქ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის წინადადების თანახმად უკვე შეუდგა წითელარმიელთა ოჯახების საჩივართა განხილვის ერთთვიურის ჩატარებას. ერთთვიურის განმავლობაში გადასინჯული იქნება ყველა ის საჩივარი, რომლებიც წითელარმიელთა ოჯახის წევრებს შეტანილი აქვთ შეღავათების მიცემის შესახებ ადგილობრივ რაიონულ აღმასკომებში, ან სასოფლო საბჭოებში.

წითელარმიელთა ოჯახების წევრებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების მიუცემლობისათვის დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

მარგანეცი

22 მარტს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	% ით
3.897	3.901	100,1

ქვანახშირი

23 მარტს: ამოღება 118%

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
ხულ	1.042	1.228	118

31 მარტს მოწვეულია საქ. ალ.კ.კ.-ს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კომკავშირის რაიკომების მდივნებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებების უფროსების მოადგილეებთან ერთად კომკავშირის აქტივით.

დღის წესრიგი

1. სტალინისის რაიკომის მდივნის ამხ. **თომაძის** და ოზურგეთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილის კომკავშირის ხაზით—ამხ. **ფოფხაძის** მოხსენებები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესახებ.

2. კომკავშირის ორგანიზაციების [illegible] საკითხზე საქ. ა. ლ. კ. კ-ის ცენტრალური კომიტეტის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილების რეალიზაციის შესახებ (ამხ. **შახბატიანი**).

საქ. ა. ლ. კ. კ-ის ც. კ-ის მდივანი—**გიორგობიანი.**

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

26 მარტს 16 აბონ. 6 წარ.	27 მარტს 7 აბონ. 6 წარ.	29 მარტს 15 აბონ. 6 წარ.
ოტელო	ნინოშვილის გურია	ნინოშვილის გურია

მზადდება „ჩვენ ხალხს"...
დასაწყისი საღამოს 8 საათზე,
სალარო ღიაა დილის 11—2 ს. და 5—9 ს.

ზახ ოპერა

26 მარტს 1 აბონ. 12 წარ.	27 მარტს 12 აბონ. 15 წარ.	28 მარტს 5 აბონ. 12 წარ.
გოფმანის ზღაპრები	[illegible] გუსტავ ვერდის აიდა	თავადი იგორი

დაიწყო მეცხრე გადასახდელის მიღება ყველა აბონემენტზე.

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

26 მარტს 14 აბონ. 7 წარ.	27 მარტს 15 აბონ. 7 წარ.	28 მარტს 16 აბონ. 7 წარ.
ანზორ	ანზორ	ანზორ

მეექვსე გადასახადი [illegible].
სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე.
დასაწყისი რვა საათზე

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ოქტომბერი ხმოვანი	ხმ. ფ. გაცვეთილი ფეხსაცმელები სეანსი [illegible]-30 [illegible]-20 [illegible]-10
დამკვრელი	ხმ. ფილმი კერძო შემთხვევა სეანსები [illegible] 9, 10-30.
ტემპი	[illegible] ზელიმ ხანი სეანსები 6, 7-30, 10
რ. ლუქსემბურგის ხმოვანი	[illegible] პირველი გუნდი სეანსები [illegible]-30 [illegible]-30 10-3[illegible]
სპარტაკი	[illegible] მამის მკვლელი სეანსები 6 7-30. 9 [illegible]-30.
26-ის სახ.	[illegible] ხამი ჯიბი სეანსები 6-30. 8-15 [illegible]
მეცნიერება და ტექნიკა	ნ ა ვ თ ი სეანს.: 4, 9-30:
რ. ლუქსემბურგის დღისით	[illegible] მეჩეთის თაღქვეშ სეანსი 12 1-30 3.
საბავშვო	[illegible] ხურაში № 2. სეანსი დილის 10 საათიდან

ტფილისის ქაღალდის ფაბრიკის
მშენებლობის სამმართველო აცხადებს, რომ
მაღალ კვალიფიკაციის
მუშათა კადრების მოსამზადებლად საჭიროა ნი არიან ახალგაზრდები 17—25 წლამდე, 7 წლედისა და რუსული ენის ცოდნით, რომელნიც გაიგზავნებიან კამენსკის (ტვერის ოლქი)
ქაღალდის ფაბრიკის საქ რხნო-საფაბრიკო სკოლაში ექვსი თვის ვადით.
მიღებულთ მიეცემათ სამგზავრო (იქით-აქეთ), ბინა და სრული კმაყოფა.
განცხადებათა წარმოდგენის უკანასკნელი ვადა არის ა/წ. 27 მარტი 3 საათამდე.
მისამართი: ტფილისი ლენინის ქ. № 9, მესამე სართული: ტფ. ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველო.
3—2 ნ. 08

12 მარტს სახლიდან ავჭალიდან ტფილისში წავიდა და აღარ დაბრუნებულა ხიკო ილიას-ძე ფიძ[illegible]შვილი [illegible] ხნის ფერი [illegible] 22 წლის, ტანდაბალი, [illegible]
1826

„26"-ის სახელობის ა.-კ. მაღლივი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლის (ყოფ. ა.-კ. კომუნივერსიტეტი)
10 წლის იუბილე
29 მარტს, საღამოს 7 საათზე, **რუსთაველის თეატრში შესდგება** ამიერ-კავკასიის უმაღლესი კომუნისტური სასოფლო სამეურნეო სკოლის იუბილესადმი მიძღვნილი **საზეიმო სხდომა.**
აღნიშნულ სკოლაში ყველა კურსდამთავრებულნი მოწვეულნი არიან საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.
შესასვლელი ბილეთები გაიცემა ა.-კ. უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლის საქმეთა მმართველობაში (შიო ჩიტაძის ქ. № 6).
[illegible]

ჩხოროწყუს რაისახლხო სასამართლოს აღმასრულებელი **ჯაიანი** ამით აცხადებს, რომ მუშების ხელფასის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა „**ზუგდიდის ხის მუშა**"-ს კუთვნილი [illegible]
საჯარო ვაჭრობა
დანიშნულია დაბა ჩხოროწყუში 31 მარტისათვის.
მსურველებს შეუძლიათ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება. დაფასებულია უდრის 21 ათას მანეთს.
8-6

ს. გორდის (ხონის რ.) სას. სამ. ტექნიკუმს
ესაჭიროება მასწავლებელი საზ. მეცნიერი ლიტერატორი.
ადგილი საავ. რაიონ. თვიური ხელფასი 500 მან. ბინა იქნება მომარაგება მეურნეობიდან. მისამართი: გორდის სას.-სამ. ტექნიკუმის დირექცია.
740

განსახკომის სამრეწველო ეკ. და ადმინ. ტექნიკის განათლების კომბინატის ფილიალი
გადავიდა ახალ ბინაზე
და ა/წ. 26 მარტამდე გრძელდება მიღება
მოანგარიშე-საქმისმწარმოებლის დარგზე.
განცხადებებს მიიღება საღამოს 7 ნახ საათიდან 10 საათამდე. მისამართი: ბეგლარის მოედანი № 1 (76 სკოლა, კამოს სახ. საფ. სკ. სკოლის გვერდით)
854 **ადმინისტრაცია**

საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, [illegible] მეფუტკრეობის ფერმების და ინდივიდუალური მეურნეობების
მეფუტკრეთა საყურადღებოთ
საქ. მიწსახკომის მეფუტკრეობის საცდელი სადგურის **ხელოვნური ფიჭის** მექანიზირებული სახელოსნო აწარმოებს სანთლის მიღებას ხელოვნურ ფიჭაზე გადასამუშავებლად. სახელოსნო ასრულებს შეკვეთებს საუკეთესოდ და დროზე. სიმყაყის მიკრობისაგან და ფუტკრის და ხამ[illegible]ს სხვა ავადმყოფობისაგან უვნებლყოფა სრული გარანტიით. სანთელი და ყოველგვარი შეკვეთები მიიღება: **ტფილისი, მუშტაიდის ბაღი, მეფუტკრეობის საცდელ სადგურის სახელოსნო.** იქვე იწარმოებს სანთლის შესყიდვა ნაღდ ანგარიშზე.
92 დირექტორი—**ა. დუმბაძე.**

იხსნება ახალი ჯგუფი პოლიგრაფიული მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში
სკოლაში ისწავლებათ საჭირო [illegible]: 1. [illegible], 2. [illegible], 3. [illegible], 4. [illegible] და 5. [illegible].
მოსწავლეთ თვით სკოლა აძლევს: **იაფ ფასიანი სასადილო, სადალაქო, ფეხსაცმელების შესაკეთებელი სახელოსნო და [illegible] მომარაგდებიან [illegible] თანაბრად და მიიღებენ თვიურ ხელფასს 20 მანეთიდან 60 მანეთამდე** სკოლასთან არსებობს [illegible] **მოწაფეებს, წარმოებაში გადასვლის შემდეგ, შეუძლიათ განაგრძონ მეცადინეობა საშუალო განათლების მისაღებად**
განცხადებების მიღება სწარმოებს დილის 8 საათიდან 4 საათამდე სკოლის მისამართი: ტფილისი, წერეთლის (ყოფილი [illegible]) ქ. № 3.
სკოლის დირექცია

დამწუხრებული რამაზ დავითაშვილი მამით არჩილ დავითაშვილით იუწყება საყვარელ დედის
ელენე გრიგოლის-ასულ დავითაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ენგელსის ქ. № 20, 5 ს. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 26 მარტს. 1883

მ. ასათიანი, ა. დნეპროვსკი, მ. მგალობლიშვილი, ი. კუჭაძე, პ. ხუნდაძე, თ. ქარცივაძე, ა. მიქელაძე, გ. კობაძე, ნ. ჩიქვაშვილი, შ. აზნაურიდი, მწუხარებით იუწყებიან გიორგი ერისთავის დის
ელენე ერისთავი-დავითაშვილის
გარდაცვალებას. 1884

მეუღლე ნადია, შვილები: კატუშა, მარუსია და გოგუცა უღრმეს მადლობას უცხადებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომლებმაც პირადი დასწრებით თუ დეპეშებით თანაგრძნობა გამოუცხადეს მათ ძვირფასი
პეტრე პაატას-ძე აბაშიძის
გარდაცვალების გამო. 1885

თავზარდაცემული მეუღლე დავითი შვილებით თამარა, ზურიკო, ნინო, ირაკლი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი
ნადეჟდა ლორთქიფანიძე-ზურაბიშვილისა
სამოქ. პანაშვიდი 7 ს. დაკრძალვა 27 მარტს, 4 ნახ. ს. არსენალის შეს. № 13. 1887

სააფთიაქო სამმართველოს მე-9 მაღაზიის და ოპტიკური წარმოების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამავე წარმოების თანამშრომლის დავით ზურაბიშვილის მეუღლის
ნადია ლორთქიფანიძე-ზურაბიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 1893

ღრმად დამწუხრებული დედა თამარა ქმრით შალვა, შვილი გურამი გუმბერიძეები იუწყებიან მათთვის ძვირფას
დავით (კუკური) ქართველიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 27 მარტს. 1889

მაშო და მიხა ლილუაშვილები შვილებით, ბაბილინა, მასიკო უნგიაძეები შვილებით, ლუბა, დათიკო გველესიანები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი სიძის და ბიძის
დავით ალექსის-ძე მახარაძის
გარდაცვალებას. 1865

სიდედრი ემმა, ცოლისძმები: დათიკო, კოწია და პავლუშა დევდარიანები იუწყებიან საყვარელ სიძის
დავით ალექსის-ძე მახარაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება 27 მარტს, ზესტაფონში. 1873

ძმა სეფე ლიზათი, შვილებით: ალექსი, ბენო, პლატონი, ვალოდია, დიმიტრი, ზინიკო, დარეჯანი, კატუშა მახარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელ
დავით ალექსის-ძე მახარაძის
გარდაცვალებას. 1879

დამწუხრებულნი: ძმა ივანე, რძალი ნინა შვილებით იუწყებიან საყვარელ
ელენე გრიგოლის-ასულ დავითაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ენგელსის ქ. № 20, 5 ს. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 26 მარტს. 1883

დამწუხრებულნი: დედა ოლღა, ძმა შოთა, ბიძა ილიკო ჩხარტიშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ 30 მარტს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი საყვარელ
გრიშა კილაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 1877

ღრმად დამწუხრებული ცოლი დარიკო, შვილები: ნინა, თამარი, შვილიშვილები: თემურაზი, ეთერი, სიძე მიშა პატარიძე იუწყებიან საყვარელ და ძვირფას
იაკობ კიმოთეს-ძე ჭანჭალეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მარტს, სოფ. ჰაგანში. 1878

დამწუხრებული მშობლები: ნესტორ, მაკრინე, დები: ლიდა, ასინა, ნინა, კატო, ძმა ალექსანდრე; სიძეები: სერგო, მელქო შვილებით იუწყებიან საყვარელ მასწავლებელ
აფრასიონ ნესტორის-ძე გეწაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება 27 მარტს, სოფ. იცაში. 1899

ნადია, მიქი, ჩენტო, ბუჭი ბალავაძეები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ პირველის ძმის, მეორის ცოლისძმის და უკანასკნელის ბიძის
ვანო ალექსანდრეს-ძე შენგელიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მარტს, ს. ჰაგანში 1899

მშობლები: დიმიტრი, მარიამი; ძმა მოსე, რძალი მარგალიტა შვილით ნოდარით გიორგაძეები, დები: ნინა, ოლღა, ანდრონა, ლეიდა, სიძეები: პ. კუპრაძე, ა. თავართქილაძე იუწყებიან
ანტუშა დიმიტრის-ძე გიორგაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მარტს, ს. ვაკიჯვარში. 1899

მე-31 და მე-6 საქ.-საფ. შვიდწლედის თანამშრომლები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სკოლის გამგის ვლადიმერ ნესტორის-ძე შარიქაძის დედის
მ ა რ ი ა მ ი ს
გარდაცვალების გამო. 1895

საქ. წ.-ჯ. საზ-ბის სამედიცინო ინსტ. მექანიკური სახელოსნოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებინ საზოგადოებას ამავე სახელოსნოს დირექტორის ამხ. იოსებ გელაშვილის დედის
ნინო იოსების-ას. გელაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა საგარეჯოში 26 მარტს. 1897

ტფილ. საბჭოს მწვანშენის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ დირექტორ გიორგი კერვალიძის ძმის
ნ ი კ უ შ ა ს
უდროოდ გარდაცვალების გამო. 1891

ნატო და ყარამან აბდუშელიშვილები შვილებით: მაია, ნუცა, ტიტო, ლევან, მაკინე, ზურა, სიძეები: გრიშა წერეთელი, ალიოშა შელია იუწყებიან ძვირფას
ნატალია ალექსანდრეს-ასულ ჩერქეზიშვილის
გარდაცვალებას. 1882

დამწუხრებული მეუღლე კოტე ჩერქეზიშვილი შვილებით: ნუცა, ბაია, ოლია, თამარა ქმრებით, შვილებით, მულეები: მითიკო, ელო, რძალი ეკატერინე იუწყებიან უძვირფასესი
ნატალია ალექსანდრეს-ასულ ჩერქეზიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. ს. საბასულხანის ქ. № 14. 1882

საბასულხანის ქუჩ. სახლი № 14-ში მცხოვრებნი უღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი ძვირფასი მეზობლის კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ჩერქეზიშვილის მეუღლის
ნატალია ალექსანდრეს-ასულ ჩერქეზიშვილის
გარდაცვალების გამო. გამოსვენება 27 მარტს, დღის 4 ნახ. ს. 1894

დამწუხრებული ეკ. ალექსანდრე ჩიქოვანი, ცოლშვილით და მარგალიტა ჩიქოვანი იუწყებიან დაუვიწყარ მამის
ივანე გიორგის-ძე ჩიქოვანის
გარდაცვალებას სოფ. გორდში, 19 მარტს. 1890

გულმოკლული და ქშინია. ბიძაშვილები ქეთო და ლადო მიროტაძეები, ნინა და ალიოშა ბართაიები დავსტირით უდროოდ დაკარგულ ძმას
ანდრო ცხადაძის
დაკრძალვა მოხდა 25 მარტს, ს. სვირში. 1875

საქ. ნიადაგმცოდნეობის და სასუქების საცდ. სადგურის თანამშრომლები ვიზიარებთ სადგურის სპეციალისტ ამხ. შაქრო კვირიკაშვილის მწუხარებას, მისი მამის
ისაკი კვირიკაშვილის
გარდაცვალების გამო. 1869

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედი, შვილი შაქრო მეუღლით ელენე კვირიკაშვილები იუწყებიან საყვარელ მეუღლის და მამის
ისაკო ივანეს-ძე კვირიკაშვილის
გარდაცვალებას. 1868

დამწუხრებული რძალი მინადორა შვილებით: ფაცურა, ლიუბა, პიპიკო, მარია და ტატიანა ჭანჭალეიშვილები იუწყებიან საყვარელ მაზლის და მოამაგე ბიძის
იაკობ კიმოთეს-ძე ჭანჭალეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მარტს, სოფ. ჰაგანში. 1876

რ. გზის ბუფეტების ბაზის თანამშრომლები: ს. ნინიძე, ტ. თავაძე, რ. სულაკაძე, ა. მეფარიძე, ა. გურალია, ქ. კაჭარავა, ვ. გრძელიძე, თ. კვანტალიანი, დ. გარუჩილაძე, ბ. სანაძე, ო. ჩიხლაძე, პ. თოხაძე, ნ. შევარდნაძე, უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. კიკაჩეიშვილის დისწულის
კ უ კ უ რ ი ს
უდროოდ გარდაცვალების გამო. 1892

გიორგი, ნუცა და ალიკო წეროძეები მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფასი სიმამრის, მამის და ბაბუას
დათიკო ჟორჟიკაშვილის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 26, 27 მარტს, საღ. 4 ს. ფურცელაძის ქ. № 16. 1888

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი დოდო, შვილები: თამარა, მარო, გრიშა, ცოლით აგრაფინათი იუწყებიან მათთვის ძვირფას ქმრის და მამის
დათიკო იოსების-ძე ჟორჟიკაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, ფურცელაძის ქ. № 16. 1888

ცოლის ძმები: სანდრო, ცოლშვილით, ილია და ნადო ცოლით მართოთი გელაშვილები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი სიძის
დათიკო ჟორჟიკაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მარტს, ვერის სასაფლაოზე. 1886

თავზარდაცემული ბიძები: ვანო, ბიძინა, დეიდა ბათურა კიკაჩეიშვილები იუწყებიან მათი საყვარელი დისშვილის
დავით თომას-ძე ქართველიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 27 მარტს. 1889

დამწუხრებული შვილი ვლადიმერი მეუღლით მარგალიტათი, და შვილით ჯონდოთი იუწყებიან საყვარელ
მარიამ ტარიელის-ას. შარიქაძის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 5 ს. ალექსანდროვის საავადმყოფოს პროზექტურაში. დასაფლავება 27 მარტს, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1880

ტფილისის სატყეო ტექნიკური მუშფაკის პედპერსონალი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამავე მუშფაკის დირექტორის ამხ. ვლადიმერ შარიქაძის დედის
მარიამ ტარიელის-ას. შარიქაძის
გარდაცვალების გამო. 1889

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქუჩა 68
მთავლიტის რწმუნებული ა 1603